

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმების სოციალურ-სამართლებრივი პრობლემები და მათი გავლენა სუროგაციის ხელშეკრულებასა და მათ მონაწილე მხარეებზე

ია გოშაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამართლის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაკა კარტოზია

თბილისი

2021

რეზიუმე

სუროგაცია წარმოადგენს ერთ-ერთ იმ სხვა მრავალ ინსტიტუტთაგან, რომელიც მიღწეული იქნა სამეცნიერო დარგში არსებული პროგრესული მიღწევების შედეგად.

სუროგაცია ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს, თუმცა თავისი კომპლექსური ბუნების გათვალისწინებით ის ფართო და აქტიური განხილვის საგანსა წარმოადგენს განვითარებად და განვითარებულ სახელმწიფოებში. საკითხის მიმართ სიღრმისეული ანალიზი საშუალებას იძლევა დეტალურად იქნას გამოკვეთილი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც განსახილველ სუბიექტს მრავლად ახლავს.

Surrogacy is one of those many other institutions that has been achieved because of severe progressive advances in the field of science.

Surrogacy is gaining it's popularity every year, however it's complex nature became a subject of active discussion in both, developed and developing countries. In-depth analysis of the issue allows to single out pros and cons of the subject.

სარჩევი

შესავალი.....	1
1. ხელოვნური განაყოფიერების ცნება და მცირე ისტორიული მიმოხილვა.....	3
2. პრობლემური ასპექტები, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერების ფართო გამოყენებამ წარმოშვა.	6
3. ხელოვნური განაყოფიერების რეგულაცია საქართველოს კანონმდებლობით.....	11
4. ქართული სასამართლო პრაქტიკა.....	15
5. ხელოვნური განაყოფიერების რეგულაცია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით.	19
6. ევროკავშირისა და მასში შემავალი ქვეყნების დამოკიდებულება სუროგაციის მიმართ	21
7. საზღვარგარეთ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა.....	27
7.1 Baby M და Cotton Baby სასამართლო პროცესი.....	27
7.2. ინდოეთი, მანჯის პროცესი.	37
8. სუროგაციის შესაბამისად წარმოქმნილი მორალური და ეთიკური პრობლემები.....	42
9. ევროკავშირის რეკომენდაციები სუროგაციასთან დაკავშირებით.	46
დასკვნა	49
ბიბლიოგრაფია.....	52
ნორმატიული მასალა.....	52
სასამართლო გადაწყვეტილებები	52
უცხოენოვანი ლიტერატურა.....	53

შესავალი

სამედიცინო სფეროში არსებული სამეცნიერო ტექნოლოგიურმა მიღწევებმა საზოგადოებას მისცა საშუალება მიიღოს ისეთი ტიპის მომსახურებები, რომლებიც მანამდე წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. მსგავსად პრაქტიკაში აქტიურად დანერგილი სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობისა, სუროგაციაც ხასიათდება ბრუნვაუნარიანობისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, რომლებიც აუცილებლად უნდა მოექცეს გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში.

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული მაგალითები, რომლებიც სუროგაციის არსს და ბუნებას ნათლად წარმოადგენს და შესაძლებლობას მისცემს მკითხველს გაეცნოს იმ აქტუალურ გამოწვევებს, და პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა მას თან ახლავდეს.

აუცილებელია განხილული იქნას სუროგაციის საკითხი ისეთი მიმართულებით, რომელიც ხაზგასმით გამოყოფს სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს.

ამისთვის კი შერჩეული იქნა სხვადასხვა თეორიული კვლევის მეთოდიკა, რომელიც განსახილველ საკითხს და მის გარშემო არსებულ კითხვებს მაქსიმალურად გასცემს პასუხს.

ნაშრომის სხვადასხვა ეტაპზე წარმოდგენილი მსჯელობა დამყარებული იქნება შედარებით-სამართლებრივ ასპექტებზე. ამისათვის კი მოყვანილი იქნება სხვადასხვა, წინასწარ კონკრეტული მახასიათებლებით შერჩეული ქვეყნების მაგალითები, როგორც თეორიული, აგრეთვე პრაქტიკული სახის.

სუროგაციის პოპულარიზაცია და მის მიმართ ყოველწლიურად მოთხოვნის ზრდა ნიშანია იმისა, რომ როგორც სხვა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოში რაც შეიძლება

მცირე დროში უნდა დარეგულირდეს იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას კონკრეტული მიმართულებები, პრინციპები და უფლებები, რომლებიც რეალურად საჭიროებენ დაცვას.

ნაშომში აგრეთვე განხილული იქნება საქართველოში არსებული მოცემულობა სუროგაციასთან მიმართულებით და შეთავაზებული იქნება ის საშუალებები და გზები, რომლებიც არსებულ სიტუაციას უკეთესობისკენ შეცვლის.

1. ხელოვნური განაყოფიერების ცნება და მცირე ისტორიული მიმოხილვა

ექსტრაკორპორული განაყოფიერება (ლათ. Extra-გარედან, ლათ.corpus-სხეული, ანუ განაყოფიერება სხეულის გარეთ).

დღევანდელი მედიცინისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განაყოფიერება ქალისა და მამაკაცის სქესობრივი კავშირის გარეშე, ხელოვნური ემბრიონების ჩასახვა და მათი სერიული გამოყენება.

აღნიშნული ინსტიტუტის დასარეგულირებლად ქართულ კანონმდებლობაში შემოღებული ნორმების უკეთ გასაგებად, საჭიროა კარგად იქნას გაცნობიერებული მისი ისტორიული განვითარება და ასევე თუ რას წარმოადგენს ის თავად.

კვერცხუჯრედის ხელოვნური განაყოფიერების პირველი ცდები 1944 წელს ჰამილტონის მიერ ჩატარდა ამერიკაში, ხოლო პირველ წარმატებას აღნიშნულმა სამედიცინო ტექნოლოგიამ მიაღწია 1973 წელს დიდ ბრიტანეთში, რის შედეგად დაიბადა ლიზა ბრაუნი. აღნიშნული მიღწევისათვის 2010 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა რობერტ ჯ. ედვარდსი ფიზიოლოგიური მედიცინის დარგში.

საქართველოში კი 2000 წლის 21 ივლისს წარმატებით დასრულდა აღნიშნული გზით ბავშვის დაბადება ჟორდანიას სახელობის კლინიკაში.

ბუნებრივია, იურისპრუდენცია არ არსებობს დროისგან დამოუკიდებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ინსტიტუტი, რომელიც აბსოლუტურ სიახლეს წარმოადგენდა რამდენიმე წლის წინ, დარეგულირდა სამართლებრივი ნორმებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ზოგიერთი მათგანი მას დადებითად შეხვდა, ზოგი კი უარყოფითად, რაც გამოიხატა მისი

აკრძალვით შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი, ირანი(ნაწილობრივ), კოსტა რიკა, გერმანია, საფრანგეთი და კიდევ არაერთი ევროპული ქვეყანა.

კოსტა რიკაში ის 2012 წლამდე აკრძალული იყო, თუმცა 2012 წელს მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამერიკის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებამ ემბრიონის სამართლებრივი უფლებების რეგულირებასთან მიმართებით, რის შედეგადაც 2015 წელს კოსტა რიკის პრეზიდენტმა ლუიზ გილერმომ ხელი მოაწერა ექსტრაკორპორული განაყოფიერების ლეგალიზაციას.

სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა მე-20 საუკუნის დასაწყისში, რადგანაც, ამერიკული მედიკამენტების მწარმოებელი Schering-Kahlbaum და Parke-davis (რომლის შვილობილ კომპანიასაც დღეს კომპანია Pfizer წარმოადგენს) კომპანიები იყვნენ პირველები, რომლებმაც 1936 წელს დაიწყეს ესტროგენის მედიკამენტოზურ ვარიანტის ფარმაცევტული წარმოება. აღნიშნულის შესაბამისი მიზნით გამოყენებადობის უფლება მალევე მიანიჭა უფლებამოსილება FDA-მ(US Food and Drug Administration)¹.

რეპროდუქციულმა ტექნოლოგიამ საკმაოდ მცირე დროში დაიმკვიდრა ადგილი მის მიმართ არსებული მაღალი მოთხოვნის გათვალისწინებით და უკვე მე-20 საუკუნის დასასრულს არსებობდნენ გესტაციური სუროგატები, ანუ ის ქალბატონები, რომლებიც არ წარმოადგენენ ბავშვის გენეტიკურ მშობელს და რომლის ბიოლოგიური მდგომარეობა გამოიყენება სხვა, მომავალი

¹ *Stefanick L. M., PhD*, Estrogens and progestins: background and history, trends in use, and guidelines and regimens approved by the US Food and Drug Administration, Stanford Prevention Research Center, Department of Medicine, Stanford University, Stanford, California, USA, The American Journal of Medicine, Vol 118 (12B), 2005, 645-745.

მშობლის ან მშობელთა ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის დანერგვა და განვითარებისთვის.²

თავად სუროგაციის ტერმინიც, როგორც უკვე აღინიშნა მიმართულია იმ ქალის მიმართ, რომელიც სხვისი სურვილისა და მოთხოვნის შესაბამისად, მისი ბიოლოგიური მდგომარეობისა და შესაბამისი ტექნოლოგიურ-სამედიცინო მიღწევისა ახდენს იმ პროცედურების გატარებას, რაც საჭიროა ბავშვის ჩასახვისა და გაჩენისთვის.³

1994 წელს უკვე სასამართლო პრაქტიკაში მოიძებნება საქმე, რომელიც ლიტერატურაში გესტაციური სუროგაციის თავსატეხის სახელით არის მოხსენიებული და სადაც მოსამართლეს მოუწია ემსჯელა თუ ვინ წარმოადგენდა ბავშვის ნამდვილ დედას, ქალბატონი, რომლის სხეულიც გამოყენებული იქნა ბავშვის ჩასახვისთვის, თუ ის ქალბატონი, რომლის განაყოფიერებული კვერცხუჯრედიც იქნა გამოყენებული ბავშვის ჩასახვა/დაბადებისთვის.⁴

აღნიშნული საკითხის განხილვის ეტაპზე უკვე არის შესაძლებელი გამოკვეთილი იქნას ის პირველი პრობლემა, რომელიც არსებული სამედიცინო-ტექნოლოგიური მიღწევით წარმოიშვება: ვინ არის ბავშვის ავთენტური დედა? და რაც მთავარია, როგორი ფორმით უნდა იქნას წარმოდგენილი ის სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც ერთმანეთისგან ნათლად გამიჯნავს იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება არსებულ საკითხს თან ახლავდეს.

² *Twine France W.*, *Outsourcing the Womb, Race Class and Gestational Surrogacy in a Global market*, Second Edition, 2015, Taylor & Francis, 7-8.

³ *Brindsen R. P.*, *Gestational Surrogacy*, *Human Reproduction Update*, Vol. 9, No.5, European Society of Human Reproduction and Embryology, 2003, 483.

⁴ *Kanfel Frances R.*, *Which Came First: The mother or the Egg? A Kinship Solution to Gestational Surrogacy*, 1994, 165.

2. პრობლემური ასპექტები, რომლებიც ხელვნური განაყოფიერების ფართო გამოყენებამ წარმოშვა.

სამართლებრივი კუთხით ეს ინსტიტუტი მრავალ პრობლემურ საკითხს წარმოშობს, რომელთა სწორი რეგულირება ძალზედ მნიშვნელოვანია.

თავად ინსტიტუტი იმდენად რევოლუციურ სიახლეს წარმოადგენს, რომ საქართველოში ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ 2 გადაწყვეტილება მოიპოვება. სანამ ძირითად პრობლემას განვიხილავდეთ ასევე მნიშვნელოვანია ხელოვნური განაყოფიერების ხელოვნური ინსემინაციისაგან გამიჯვნა, რომელშიც ასევე განასხვავებენ ჰომოლოგიურ და ჰეტეროლოგიურ ინსემინაციას. ძირითადი პრობლემას სწორედ ჰეტეროლოგიური ინსემინაცია წარმოადგენს, რომლის დროსაც რთულია დადგინდეს მამობა. ბევრი იურისტის მსჯელობის საკითხს წარმოადგენს ასევე ემბრიონის სამართლებრივი რეგულირების საკითხი. ვერ თანხმდებიან უნდა მიენიჭოს თუ არა მას პიროვნების სტატუსი და მოხდეს მისი ჩანასახთან გათანაბრება. მიუხედავად ამისა, ყველა თანხმდება რომ ის არ შეიძლება წარმოადგენდეს ვაჭრობის საგანს.

ხელოვნური განაყოფიერების დროს წარმოიშობა პრობლემა, შეუძლია თუ არა ამ გზით დაბადებულ ბავშვს იყოს მამის მემკვიდრე, თუკი ემბრიონის წარმოშობამდე და დედის საშვილოსნოში მის ჩანერგვამდე მამა გარდაიცვლება. ზოგი მიიჩნევს რომ კვერცხუჯრედებისა და სპერმის შერწყმის მომენტიდან ემბრიონი უნდა გაუთანაბრდეს ჩანასახს და აღიარებულ იქნეს მის შეზღუდული უფლებაუნარიანობა, ზოგი კი თვლის, რომ ემბრიონის ჩანასახთან და პირობით სუბიექტად მიჩნევა მხოლოდ ემბრიონის ჩანერგვის შემდეგ შეიძლება.

ასევე არ წარმოადგენს დავის საგანს, ის რომ ჩანასახის მემკვიდრეთ ყოფნის უფლება წარმოიშვება ჩასახვისთანავე.

არსებობს ასევე ისეთი სადავო საკითხები, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებს ეხება. განვიხილოთ ასეთი შემთხვევა, როცა სახეზე გვყავს 3 ბიოლოგიური მშობელი (კაცი -სპერმის დონორი, ქალი-კვერცხუჯრედის დონორი და ქალი-საშვილოსნოს დონორი) და ორი სოციალური შემკვეთი მშობლის სახით. ასეთ მომენტში სამართლიანი იქნება თუ მივიჩნევთ, რომ საჭიროა თითოეული მათგანის სამართლებრივი რეგულაცია და განსაზღვრა თუ ვის რა უფლება-მოვალეობა აკისრია, და ვის წარმოეშვება მოთხოვნის უფლება ვის მიმართ.

ქართულ კანონმდებლობაში ექსტრაკორპორული განაყოფიერების რეგულაციის მხრივ არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი იჩენს თავს, რომელთა მოწესრიგება ვფიქრობ დროულად უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, რომ სუროგაციის პოპულარობა აქტიურად მატულობს და ისეთი ქვეყნის მოსახლეობა, რომელთათვისაც მისით სარგებლობა კანონით აკრძალულია აქტიურად ცდილობს ისარგებლოს საქართველოს მსგავსი რეგულაციის მქონე ქვეყნებით. პირადად ჩემთვის კომერციული სუროგაცია არაერთ მორალურ შეხედულებას ეწინააღმდეგება და ვთვლი, რომ საქართველოში უმჯობესია თუ ამ კუთხით იქნებოდა ის შეზღუდული და ურიგო არ იქნებოდა თუ გერმანული მოდელით ვიხელმძღვანელებდით, სადაც ისევე როგორც ჩვენს კონსტიტუციაში ნათლად აღინიშნება, რომ პიროვნების ღირსება ხელშეუვალია. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებელმა მიიჩნია, რომ სუროგაციას დადებითი ზეგავლენა ექნებოდა საქართველოს დაბალ დემოგრაფიულ და ეკონომიკურ განვითარებაზე, ეს არ წარმოადგენს არა მხოლოდ ჩემთვის საკმარის საფუძველს და არგუმენტს, რომ დაშვებული იყოს კომერციული სუროგაცია, და თანაც თან ახლდეს მის მარეგულირებელ ნორმებს ამდენი ხარვეზი და კითხვაგაუცემელი გარემოება. ბუნებრივია, არ აღვნიშნავ, რომ

ქართულ კანონმდებლობაში ციტირება უნდა მოვახდინოთ თუნდაც გერმანული ნორმების, ვინაიდან ნორმისათვის სავალდებულო ხასიათის მისანიჭებლად პირველ რიგში უნდა გათვალისწინებული იქნას იმ ხალხის შეხედულებები და ზნეობრივ-მორალური ასპექტები, რომელთა მიმართ ის შესაძლოა გამოყენებული იქნას მომავალში. ჩემთვის ნათელია ის საკითხი, რომ ისეთი ოჯახებისთვის რომელთათვისაც სუროგაცია მათი შვილის ყოლის ერთადერთი გზაა ძალზედ ცუდია სახელმწიფოს მხრიდან არ ჰქონდეს არანაირი მხარდაჭერა, მაგრამ სწორედ ამიტომ მივიჩნევ ალტრუისტულ სუროგაციას შესაძლო დასაშვებს ხოლო კომერციულს კი ყოველად მიუღებელს. ვთვლი, რომ ადამიანის ღირსებისა და პიროვნულობის საკითხის ბიზნეს თემატიკად გადაქცევა ყოველგვარ მორალურ და ეთიკურ ნორმებს აჭარბებს და ეს წარმოადგენს სწორედ ჩემს მიერ მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას.

განსხვავებით სტანდარტული სამოქალაქო-სამართლებრივი შემთხვევებისა, ლიტერატურასა და პრაქტიკაში ვაწყდებით ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც ყოველდღიურ რეალობაში აქტიურად გამოიყენება, თუმცა გარდა ლოგიკურ-სამართლებრივი ჩარჩოებისა ისინი ხშირად ექცევიან მორალურ და ეთიკურ ჩარჩოებშიც, რაც ხშირ შემთხვევაში განაპირობებს მათ მიმართ აღნიშნულთა გათვალისწინების შესაბამისად ჩამოყალიბებულ ნორმატიულ მასალათა ნუსხას.

სამართალი და ნორმატიული აქტები არ წარმოადგენენ მათემატიკურ აქსიომებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ფორმას ინარჩუნებს და არ საჭიროებს განხილვას/გადახედვას. გასული საუკუნეების განმავლობაში ტექნოლოგიური განვითარებით არსებულმა მიღწევებმა სოციუმს ნათლად წარმოუდგინა ისეთი ნოვაციები, რომლებიც მანამდე წარმოუდგენლადაც კი მიიჩნეოდა და არც არსებობდა საჭიროება რომელიმე აქტით ყოფილიყო განსაზღვრული ესა თუ ის ურთიერთობა. დღევანდელი თვალსაწიერიდან კი უნდა აღინიშნოს და ხაზგასმით განისაზღვროს ის ფაქტი, რომ თითოეული

სიახლის მიმართ გასატარებელი სამართლებრივი რეფორმა, იქნება ეს ძველებური მიდგომის მოდიფიკაცია თუ ახალი მოცემულობის ჩამოყალიბება უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორს. ასეთ ფაქტორებად მოიაზრება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი სიტუაციები, რომელიც შიდასახელმწიფოებრივ ეტაპზე უკვე არსებობდა იმ კონკრეტული მომენტისთვის, როდესაც საჭირო გახდა ცვლილებების მიღება.

სამართლებრივი თვალსაზრისით სუროგაცია და მის შესაბამისად წარმოშობილი ურთიერთობები მიეკუთვნება მედიცინის ისეთ დარგს, რომლის მიმართ სოციუმს არ გააჩნია ისტორიული თვალსაზრისით მდიდარი გამოცდილება, შესაბამისად შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა ის სამართლებრივი პროცესი და რეფორმა, რომელიც მას უკავშირდება, შესაძლოა მცირე დროში შეიცვალოს ან პირიქით იმდენად წარმატებული აღმოჩნდეს, რომ მისი გათვალისწინება სხვა ქვეყნებაც მოახდინონ. ლიტერატურაში მოყვანილი მაგალითების შესაბამისად კანონმდებლები მისწრაფვიან სუროგაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ცვლილებების განხილვის პროცესში ორი მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად: ერთის მხრივ მაქსიმალურად იქნას დაცული პროცესში მონაწილე ყველა სუბიექტის სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებები და მეორემხრივ, როგორ შეიძლება ასეთი ცვლილებები ჩამოყალიბდეს ისე, რომ სოციუმზე მან მხოლოდ დადებითი ასახვა ჰპოვოს. განსხვავებული კულტურული და რელიგიური ღირებულებების გათვალისწინებით არსებული მიზნის მიღწევა თეორიულად საკმაოდ რთულად მისაღწევი უნდა იყოს.⁵

ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი ვითარება, არამხოლოდ საქართველოში არამედ ბევრ სხვა განვითარებად თუ განვითარებულ სახელმწიფოში თამაშობს

⁵ *Field M.*, Reproductive Technologies and Surrogacy: Legal Issues, *Creighton Law Review* 25, No. 5, 1992, 1589-1598.

უმნიშვნელოვანეს როლს იმ სიახლეებთან მიმართებით, რომლებიც ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ხდება ადრე თუ გვიან.

სამედიცინო სექტორი და ჯანდაცვის სისტემა ერთ-ერთია იმ მრავალ დარგთა შორის, რომელიც აქტიურად შეესაბამება ტექნოლოგიური, ინდუსტრიული და სამეცნიერო დარგობრივი მიღწევების შედეგად პრაქტიკაში დანერგილ სიახლეებს, რომლებიც ბუნებრივია შესაბამის მიდგომებს და სათანადო პოლიტიკის გატარებას ისახავს მიზნად.

გარდა ზემოხსენებული კომპონენტებისა ჯანდაცვისა და სამედიცინო სფერო ამავდროულად ხასიათდება ისეთი კომპლექსური ბუნებით, როდესაც დარგის მიერ მოცულ საკითხთა მიმართებით აუცილებელია გამახვილდეს ყურადღება ეთიკურ საკითხებზე, და მხოლოდ აღნიშნულის გათვალისწინებით განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი თუ ტექნიკური ცვლილებები.

განსახილველ ობიექტთან მიმართებით ნაშრომში განვითარებული მსჯელობა დაკავშირებული იქნება სწორედ იმ საკითხთა კომპარატიულ ანალიზთან, რომელიც საბოლოო ჯამში შესაძლებლობას მისცემს მკითხველს გაეცნოს სუროგაციასთან მიმართებით არსებულ შიდა და საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე არსებულ პრობლემურ და საგულსიხმო დეტალებს. შედარებით-სამართლებრივი ანალიზისა და არგუმენტაციის მეშვეობით შესაძლებლობა იქნება გამონახული იქნას ის გზებიც, რომლებიც გარკვეულწილად გასცემს პასუხს გამოვლენილ პრობლემატურ დეტალებს და რაც მთავარია შესაძლებლობა იქნება სამომავლოდ იქნას გათვალისწინებული ის პრაქტიკული და თეორიული მაგალითები, რომლებიც დასახელებული იქნება საკითხის განხილვის პროცესში.

3. ხელოვნური განაყოფიერების რეგულაცია საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 143-ე მუხლით აწესრიგებს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებას და განმარტავს: 1) რა შემთხვევებშია ნებადართული ეს ინსტიტუტი, 2) ვინ ითვლება მშობლებად. ამ კანონის შესაბამისად „უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა დედა ითვლება მშობლად აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით დონორს არ აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება“.⁶

ვფიქრობ რომ ეს ნორმა საკმაოდ ბუნდოვანია და ძალიან ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს მხარეებს.

ამავე კანონით არ არის რეგულირებული ლიცენზირების საკითხი, და საერთოდ არც კი აღნიშნავს რომ საჭიროა ამ პროცედურაში ჩარეული იქნას სამედიცინო დაწესებულება. გამომდინარე აქედან კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, თუ ამ ინსტიტუტით მოსარგებლე პირებიდან ერთ-ერთს მაინც მიადგება რაიმე სახის ზიანი, ან ვინ იკისრებს ვალდებულებას ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში. ასევე საჭიროა დროულად მოხდეს ლიცენზიის გაცემა, როგორც სამედიცინო დაწესებულებაზე ასევე იმ ექიმებზე, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან იკისრონ მსგავსი პასუხისმგებლობა.

ასევე ვფიქრობ, რომ ადგილი აქვს ხარვეზს, კანონმდებლის მიერ შედგენილ ნორმაში, სადაც საუბარია დონორის ვინაობაზე. ამ ნორმის თანახმად,

⁶საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

კანონმდებელი კრძალავს დონორის ვინაობის გამხელას, რამაც შესაძლოა სხვა უარყოფითი შედეგი გამოიწვიოს.

მართალია კონფიდენციალურობის პრინციპს საკუთარი პლიუსებიც ახლავს, თუმცა არ იქნებოდა ურიგო თუ კანონმდებელი გამონახავდა ისეთ გზას, რომელიც თავიდან აირიდებდა მომავალ უკურეაქციას ამ ნორმის.

144-ე მუხლით დარეგულირებულია გაყინული ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა თუ დავდებთ ისეთი სიტუაციის წინაშე, სადაც მეუღლეებმა თანხმობა განაცხადეს, რომ „განაყოფიერებული კვერცხუჯრედები“ გაყინულ მდგომარეობაში შეენახათ და მიუთითეს გარკვეული ვადა, ვადის გასვლამდე მეუღლეებს შორის წარმოიშვა დავა და საქმე განქორწინებამდე მივიდა, საინტერესო იქნება აღნიშნული „გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ემბრიონი შეიძლება თუ არა გახდეს დავის საგანი...

ვფიქრობ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად საჭიროა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდეს და დაიხვეწოს ის მიდგომა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ინსტიტუტით მოსარგებლე პირებს თავიანთი სამართლებრივი მდგომარეობის განმტკიცებაში.

კანონმდებელი ასევე აკეთებს დათქმას თუ რა შემთხვევაში არაა შესაძლებელი ხელოვნური ჩასახვის მეთოდის გამოყენება, კერძოდ პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლში ვკითხულობთ: „აკრძალულია სქესის შერჩევის მიზნით ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვირდეობითი დაავადების თავიდან აცილება.“

ქართული კანონმდებლობით რეგულირებულია, ასევე ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნულს ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18-ე ბრძანების მე-19 მუხლი.

ამ მუხლში მითითებულია ასევე ის რეკვიზიტები, რომლებიც აუცილებელია ხელოვნური განაყოფიერებისათვის. საყურადღებოა ასევე ამ ბრძანების მე-19 მუხლის, მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია.⁷

ნაშრომში ნახსენები იყო 2012 წელს მიღებული ბრძანება, რომელთან დაკავშირებითაც უზენაეს სასამართლოს განვითარებული აქვს საყურადღებო მსჯელობა.⁸

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელებს მოთხოვნილი ჰქონდათ ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად 2019 წლის 6 ნოემბერს დაბადებული არასრულწლოვანის მშობლად აღიარებას, არასრულწლოვანის დაბადების სააქტო ჩანაწერში კონკრეტული ცვლილებების შეტანას და დაბადების მოწმობის გაცემას. აღნიშნულთან დაკავშირებით, განხილული იყო სწორედ 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება და ამ ბრძანებით განსაზღვრულ დოკუმენტთა მარეგისტრირებელი ორგანოსათვის წარდგენა/არ წარდგენის საკითხი.

საქმეში აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელეთა უფლება სააგენტოსგან დარღვეული იქნა იმგვარად, რომ მოსარჩელებმა ვერ შეძლეს ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ახალშობილის დაბადების რეგისტრაცია, რომლითაც პოტენციურად შეილახა პოტენციური მშობლების, ახალშობილის დაბადების და არასრულწლოვანის საერთაშორისო აქტებით და ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებული უფლებები და ინტერესები.

⁷ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18-ე ბრძანება.

⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას - 1162-2020

დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნეოდა ის ფაქტი, რომ მოპასუხე უარს აცხადებს მშობლებად მათ რეგისტრაციაზე ხელშეკრულების სანოტარო წესით დაგვიანებით დადასტურების გამო.

არსებული პრობლემის შესაფასებლად უზენაესმა სასამართლომ მოიშველია ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებს ბავშვის უფლებებზე და მშობლად გახდომის უფლებაზე. ოჯახური ცხოვრების ცნების განსაზღვრების თანახმად, ის ავტონომიური კონცეფციაა, რომლის ამომწურავი კონცეფციური განსაზღვრება არ მოიაზრება, მაგრამ არსებობს კონკრეტული პრინციპები, რომლის მიხედვითაც მშობლად გახდომის უფლება, აუცილებელი უფლებაა და საჭიროა სწორად იქნეს შეფასებული გენეტიკური მშობლების სტატუსი და სამართლებრივი როლი ამა თუ იმ ურთიერთობაში.

ოჯახური ცხოვრების ცნებაში არ უნდა იქნას მხოლოდ გათვალისწინებული სოციალური, მორალური ან კულტურული ურთიერთობები. ის აუცილებლად მოიცავს მატერიალური სახის ინტერესებს, რაც გამოხატული შეიძლება იყოს ურთიერთ რჩენის ვალდებულებით.

სასამართლო აგრეთვე იშველიებს ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციას და მე-8 მუხლით განსაზღვრულ დანაწესს,⁹ რომლის მიხედვით მისი მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა, მოქალაქეობა, სახელისა და ოჯახური კავშირები, და ამვადროულად ვალდებული არიან არ დაუშვან მასში ჩარევა რაიმე ფორმით.

იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარანტიები არ იქნება დაცული მაშინ, მოხდება როგორც შიდასახელმწიფოებრივი აგრეთვე, საერთაშორისო ნორმების მოთხოვნათა დარღვევა, რაც გაუმართებლად უნდა იქნას მიჩნეული. სუროგაციის ინსტიტუტის სირთულე შეიძლება გამოხატული იქნას თეორიულ ნაშრომებში იმისათვის, რომ პრაქტიკაში მათი გამოყენების ეტაპზე,

⁹ კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-8 მუხლი.

მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული და დაცული ყველა ის ძირითადი უფლება, რომელზეც შეიძლება მას გავლენა ჰქონდეს.

არსებული მსჯელობის შესაბამისად შეიძლება აღნიშნოს ის გარემოზაც, რომ გარდა კონკრეტულად სუროგაციის შესაბამისად წარმოშობილი ურთიერთობის მომწესრიგებელი სპეციალურად შემუშავებული ნორმებისა, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ნორმატიული მასალაც, რადგან ის მჭიდრო კავშირშია საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებთან და მათი უფლებელყოფა უბრალოდ დაუშვებელი იქნება მთელი რიგი სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით.

4. ქართული სასამართლო პრაქტიკა.

ქართულ სამართლებრივ რეალობაში ფიგურირებს მხოლოდ ორი შემთხვევა როცა, სააპელაციო და საკასაციო სასამართლომ იმსჯელა სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხზე.

პირველი შემთხვევა უკავშირდება არა კონკრეტულად სუროგაციის საფუძვლით წარმოშობილ დავას, არამედ განქორწინების საქმეს, სადაც ერთ-ერთ მხარეს საკუთარი არგუმენტის გასამყარებლად მოჰყავდა გაყინული ემბრიონის მდგომარეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123 მუხლის მეორე პუნქტში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არ აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებას“. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოქალაქე ხედავს ამ აღნიშნული უფლებით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას ანუ შიკანას, აღნიშნული ნორმა ლეგიტიმურია და სწორედ ეს პუნქტი იყო მოსარჩელეს მთავარი ხელმოსაჭიდი, რომ

დაემტკიცებინა საკუთარი მართებულობა. საქმის მნიშვნელოვანი დეტალებიდან აღინიშნება, რომ ემბრიონები კვლავ კრიოპრეზერვაციის მდგომარეობაში იყო და ემბრიონების გადატანა ბიოლოგიური მშობლის ან/და სუროგატული დედის საშვილოსნოს ღრუში არ მომხდარა, ანუ არც ბიოლოგიური მშობლის და არც სუროგატული დედის ფეხმძიმობა არ დამდგარა. სწორედ ამ მსჯელობის საფუძველზე დაადგინა სააპელაციო სასამართლო, რომ მოსარჩელეს არგუმენტი დაუსაბუთებელი იყო.

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე შეგვიძლია ვიხილოთ ნათელი მაგალითი იმისა, რომ სუროგაციის ინსტიტუტთან მიმართებით წარმოშობილი პრობლემატიკა არ არის აუცილებელი, რომ კონკრეტულად ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობდეს. ეს არის ის დავა, რომელიც საოჯახო შინაარსისაა, და რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსით. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გაყინულ მდგომარეობაში მყოფი ემბრიონი აპრიორი არ წარმოშობს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, და მნიშვნელოვანია მას მიეცეს ჩანასახის სახე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, ასევე ნათელია რომ მიჯნავს კოლეგია ერთმანეთისაგან ემბრიონისა და ჩანასახის სამართლებრივ სტატუსს.

მეორე შემთხვევა კი ეხება კერძო საჩივარს, სადაც ზემოაღნიშნული საკითხი საკასაციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, თუმცა დავის საგანი არა სუროგაციის ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემა იყო, არამედ წარმომადგენლის გამოუცხადებლობა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რის გამოც, სამწუხაროდ საკასაციო სასამართლოს არ აქვს ნამსჯელის ემბრიონისა და ჩანასახის სამართლებრივ ვითარებაზე.

როგორც უკვე იქნა აღნიშნული, საქართველოში განსაზღვრულია კონკრეტული წინაპირობები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 143-ე მუხლით და ის ადგენს, რომ ექსტრაკორპორული განაყოფიერება დაშვებულია მაშინ, როდესაც მხარეებს სურთ იმკურნალონ უშვილობის

პრობლემის დასაძლევად, ან როდესაც არსებობს ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადები გადაცემის რისკი. ამავდროულად აუცილებელია ამავე მუხლის დანაწესით, რომ მხარეებმა უნდა განაცხადონ წერილობითი თანხმობა. ასევე დაშვებულია ისეთ შემთხვევაში ექსტრაკორპორული განაყოფიერება, როდესაც ქალს არ აქვს საშვილოსნო და განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა, სუროგატი დედის საშვილოსნოში უნდა იქნას გადატანილი გამოზრდის მიზნით.¹⁰

ამავე საქმის ფაქტობრივი გარემოებათა მოთხოვნის გათვალისწინებით მხარეებს მოსამართლემ განუმარტა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 144-ე მუხლით მინიჭებული უფლების შესახებ, რომლის თანახმად ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებლად მიიჩნევა კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული რეგულაციები სუროგაციასთან და იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც სუროგაციის პროცესის შესაბამისად წარმოიშვება, საკმაოდ ბუნდოვანია და ბევრ კითხვას პასუხგაუცემელს ტოვებს.

არსებულ საქმესთან მიმართებითაც კი სასამართლოს მოუწია განემარტა, რომ კანონი რეგულირების გარეშე ტოვებს ისეთს საკითხს, თუ როგორ შეიძლება გადაწყვეტილი იქნას დავა მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში და ასე დროს რა ბედი უნდა ეწიოს უკვე განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს - ემბრიონს. მიუხედავად ამ პრობლემისა, სასამართლო კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით მაინც ვალდებულია იმსჯელოს იმ საქმეზე, რომლის განსახილველად მხარეებმა მიმართეს.

¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1852-14.

სხვა სახელმწიფოების მსგავსად, სასამართლო იზიარებს იმ პოზიციას, რომ საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და სამართლებრივი საკითხების გარდა თავს იჩენს მორალური და ეთიკური პრობლემები.

სასამართლო მსჯელობს ისეთ საკითხებზე, რომლის დროსაც მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესები ერთმანეთთან აბსოლუტურ შეუთანხმებლობაში მოდის, თუმცა ორივე მათგანს გააჩნიათ ემბრიონზე თანაბარი უფლებები. სასამართლო განმარტავს, რომ შთამომავლობის ყოლა ადამიანის ბუნებრივი დანიშნულებაა და მისი შეზღუდვა ვერ მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოებში. მოსამართლის თქმის ადამიანის თვითრეალიზება, ცხოვრების არსის და თვითმყოფადობის შეგნება გამოხატულებას ჰპოვებს შთამომავლის არსებობის პირობებში და ის ხაზს უსვამს ადამიანურ ღირებულებებს და პრიორიტეტებს, რომლებიც სწორედ ამ საკითხით არის სისრულეში მოყვანილი.

სწორედ ნორმატიურ მომწესრიგებელ ნორმათა ნაკლებობამ განაპირობა ის მოცემულობა, რომ სასამართლო შეზღუდული იყო დაყრდნობოდა კონკრეტულ სამართლებრივ ბერკეტებს, და აღნიშნულის აღმოსაფხვრელად ისარგებლა საკუთარი გონივრულობის ფარგლებში და იმ საზღვარგარეთის პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც არსებულ საქმესთან მიმართებით რელევანტურად მიიჩნეოდა.¹¹

¹¹ European Court of Human Rights, The case of Evans v. The United Kingdom, 2007, Application no. 6339/05.

5. ხელოვნური განაყოფიერების რეგულაცია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულადაა არის რეგულირებული სუროგაციის საკითხი.

მათ შორის გამოირჩევა უკრაინა, რომლის კანონმდებლობაც ძალზედ ლიბერალურად უდგება ამ საკითხს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში გვხვდება ასეთი ქვეყანა არ ნიშნავს იმას, რომ მაგალითად გერმანიის მოქალაქე, რომელსაც კანონმდებლობით ეზღუდება სუროგაციის მეშვეობით ბავშვის გაჩენა, მას შემდეგ რაც ის უკრაინაში ისარგებლებს ამ საშუალებით, გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ბავშვს მიენიჭება გერმანიის მოქალაქეობა.

ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ამ ინსტიტუტით მოსარგებლე ხალხთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს, თუმცა დღესაც არ არსებობს ისეთი სახის საერთაშორისო სახის რეგულაცია ან მინიმალური სტანდარტები, რომლითაც შესაძლოა იხელმძღვანელოს რომელიმე სახელმწიფომ. ასევე არ გვაქვს სახეზე კონვენცია ან შეთანხმება, რომელიც მოაწესრიგებდა სუროგაციის მეშვეობით დაბადებული ბავშვის იურიდიულ სტატუსს. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებებით ბევრი ქვეყანა, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები იმდენად მკაცრად არეგულირებს ამ საკითხს, რომ თითო აქტის ჩატარება რამდენიმე თვეს საჭიროებს, ვინაიდან დაწვრილებით ხდება ყველა იმ დეტალის შემოწმება, რომელიც მომავალში შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, როგორც მშობლებისათვის, ასევე დონორებისთვისა და მათი შვილებისთვის.

ბელგიის მაგალითით, თუ ვიხელმძღვანელებთ სუროგაცია კანონმდებლობით ნებადართულია, თუმცა კომერციული უკანონოდ მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა იმდენად მკაცრად უყურებს ამ საკითხს,

რომ მთელს ქვეყანაში ერთადერთ სამედიცინოს დაწესებულებას აქვს მინიჭებული ლიცენზია, ჩაატაროს აღნიშნული პროცედურა. რაც საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს ბელგიის მოქალაქეთათვის, ეს რეგულაცია გარკვეულწილად აიძულებს მათ ისარგებლონ უცხო ქვეყნის მომსახურებით.

საფრანგეთის კანონმდებლობას თუ გადავხედავთ, სამოქალაქო კოდექსის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად აკრძალულია ნებისმიერი სახის სუროგაცია. განსხვავებით საქართველოსგან, საფრანგეთში უკვე არსებობს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სადაც საკასაციო სასამართლო საქმეში „Mennesson” ადგენს, რომ ეს ინსტიტუტი ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ფუძემდებლურ ინტერესებს და მის პოლიტიკას. ხოლო მათთვის ვინც კანონის წინააღმდეგ მაინც ისარგებლებს ამ საშუალებით დაეკისრებათ ადმინისტრაციული, ან უკიდურეს შემთხვევაში სახით სისხლის სამართლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

გერმანიის კანონმდებლობაც კრძალავს სუროგაციას და არსებობს არაერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელშიც გერმანიის სასამართლო ასაბუთებს, რომ „სუროგაცია წარმოადგენს კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, რომლითაც განმტკიცებულია, რომ „ადამიანური ღირსება ხელშეუვალია“. გერმანული კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლებელია ადამიანი, რაიმე სახით წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულების საგნად ნებისმიერი სახის ურთიერთობაში. ასევე დაუშვებელია მესამე პირის სხეულის გამოყენება რეპროდუქციისათვის. გერმანიის სამოქალაქო კოდექსში ასახულია დედობის დეფინიცია, რომელიც ასევე მკაცრად ეწინააღმდეგება შეთანხმების სუროგაციის მიზნით.

6. ევროკავშირისა და მასში შემავალი ქვეყნების დამოკიდებულება სუროგაციის მიმართ

როდესაც საუბარი ეხება სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმების სოციალურ სამართლებრივ პრობლემებს, აუცილებელი აღინიშნოს რომ მათი განხილვა ვიწრო სპექტრში შესაძლოა არანათელ სურათს წარმოადგენდეს, და ამისთვის განსახილველად საორიენტაციო თვალსაზრისით მოყვანილი იქნება მაგალითები, როგორც ნაციონალური მასშტაბით, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, აგრეთვე ინტერნაციონალურ დონეზე. სუროგაციის ეთიკური და სოციალური პრობლემების არსებობასთან მიმართებით საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება არსებობს ევროკავშირის კანონსა და ადამიანის უფლებების შესახებ კონვენციის გადმოსახედიდან და როგორ პოზიციას ინარჩუნებენ ევროკავშირში შემავალი ქვეყნები სუროგაციის მიმართ.

სუროგაციის სხვადასხვა სახეობის გათვალისწინებით განვითარებულია, შესაბამისად სხვადასხვა ტიპის მიდგომები და დამოკიდებულებები, როგორც სამართლებრივ დონეზე, აგრეთვე ბუნებრივია სამედიცინო დონეზეც. მაგალითისთვის, თუ ავიღებთ სუროგაციის ტრადიციულ ვარიანტს, შესაძლებელია ითქვას, რომ მის მიმართ არ გამოიყენება აქტიური სამედიცინო ქირურგიული პროცედურები და მხოლოდ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურა ხორციელდება.¹² ხოლო გესტაციური სუროგაციის დროს საჭიროა სამედიცინო, ქირურგიული ჩარევა და აღნიშნულის შესაბამისი მთელი რიგი მოქმედებები, რომლებიც წარმატებით დასრულების გარანტად უნდა ვლინდებოდეს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით სუროგაციის სამედიცინო ასპექტები საკანონმდებლო

¹² *Human Fertilisation & Embryology Authority, Trends and figures, 2011, 6.*

რეგულაციის პროცესში დეტალურად უნდა იქნას განსაზღვრული, და თითოეული სახეობის მიხედვით ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს ის დეტალები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ურთიერთობაში მონაწილე ყველა მხარისათვის. გარდა სახეობის მიხედვით სუროგაციის გამიჯვნისა, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას, ის სამართლებრივი სტატუსი, რომელიც სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს უკავშირდება, რადგანაც საერთაშორისო კანონმდებლობა სუროგაციის მიმართ არ აყალიბებს ერთგვაროვან დამოკიდებულებას, და საჭიროა შეფასდეს მათი სამართლებრივი სტატუსი, როგორც შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, აგრეთვე საერთაშორისო ფორმატივაც. მაგალითისთვის, უკრაინაში¹³, რუსეთში¹⁴ და კალიფორნიის შტატში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად შვილის სამართლებრივი დედის სტატუსი ენიჭება იმ ქალს, რომელიც ამავდროულად მოიაზრება ბავშვის პოტენციურ დედად. მაგრამ განსხვავებით არსებული დამოკიდებულებისა, ამერიკის სხვა შტატებში და მსოფლიოს მასშტაბით კიდევ სხვა ბევრ ქვეყანაში, ბავშვის დედად მოიაზრება უშუალოდ ის პირი, რომელიც მშობიარობს.¹⁵ სირთულეები თავს იჩენს აგრეთვე მამის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის ეტაპზეც, და ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მშობლებად ერთსქესიანი პირების არსებობასაც უშვებს. ასეთ შემთხვევებში საფრთხე ექმნება არა მხოლოდ ბავშვის მშობლების იდენტობის დადგენას, არამედ აგრეთვე ზოგადად მისი მშობლის არსებობა არ არსებობის სამართლებრივ განსაზღვრებას. არსებული მოცემულობის გათვალისწინებით და სამართლებრივი ანალიზით შესაძლებელია აგრეთვე აღინიშნოს, რომ სამართლებრივი პრობლემა წარმოიშვება აგრეთვე მოქალაქეობის განსაზღვრისა და დადგენის პროცესშიც. მაშინ, როდესაც სამართლებრივი

¹³ Family Code of Ukraine, Article 123(2).

¹⁴ Family Code of Russia, articles 51-52.

¹⁵ UK's Human Fertilisation and Embryology Act, s 33(3).

რეგულაციების ვარიაციის შედეგად, სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვა ასპექტებს აღგენს იმის განსასაზღვრად თუ ვინ წარმოადგენს ბავშვის სამართლებრივ მშობელს, ბუნებრივია თანმდევი განსახილველი საკითხია ასეთ შემთხვევაში თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება ბავშვი, რადგანაც მშობლის სამართლებრივი სტატუსის იდენტიფიცირება კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.¹⁶

არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, გარდა იმ პირდაპირი პრობლემებისა, რომლებიც სუროგაციის არსებობის ლოგიკური თანმდევია შესაძლებელია ითქვას, რომ თავს იჩენს აგრეთვე ისეთი სოციალურ-სამართლებრივი პრობლემებიც, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო-კერძო სამართლებრივ ნორმებსა და მიდგომებს, და რომლებიც მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდნენ სუროგაციის გზით ბავშვის დაბადების თანმდევ საკითხებთან მიმართებით. პოტენციურად შესაძლებელია თითოეულ ქვეყანას გამოვლენილი ჰქონდეს ინდივიდუალურად განსხვავებული მიდგომები და არსებული გათვალისწინებით სამართლებრივი მოწესრიგება საბოლოო ჯამში შეიძლება ჩიხში მივიდეს იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით უნდა გადაწყდეს მაგალითისთვის ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, ან რომელი პირი უნდა იქნას მიჩნეული ბავშვის ბიოლოგიურ მშობლად, რომელი იურიდიულ მშობლად და ამავდროულად რამდენად იქნება შენარჩუნებული თავად ბავშვის სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებები. ლიტერატურაში 2011 წელს უკვე აქტიურად აფიქსირებდნენ მკვლევარები არსებული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების სასწრაფო წესით განხილვას და მიღებას, რადგანაც, საკითხი თავისი შინაარსით იმდენად კომპლექსურია, რომ თავად სასამართლო რესურსი ობიექტური თვალსაზრისით შეიძლება ლოგიკურ ჩარჩოებზე დაყრდნობით

¹⁶ არსებული პრობლემის გარკვეულწილად გადაჭრის მიზნით საფრანგეთის მთავრობამ დაიწყო გარკვეული პროცესების განხორციელება, რომლებიც სუროგაციის პროცესების დასრულების შემდეგ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების მეშვეობით ახორციელებს ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრის ბუნდოვანების თავიდან აცილებისთვის, შესაბამის სამართლებრივ მოქმედებებს.

ვერ მივიღეს ლოგიკურ დასკვნამდე, თუ ამის შესაძლებლობას თავად შიდასახელმწიფოებრივი შეთანხმებები ან ერთიანი მიდგომა არ მისცემს.¹⁷

ევროკავშირის თვალსაწიერი საკმაოდ ვრცელია სუროგაციის მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმ საბაზისო დონის მსგავსებებისა, რომლებიც უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სუროგაციის კანონიერად ან არაკანონიერად ცნობას, მიიჩნევა, რომ თითოეული შემთხვევა უნიკალური ბუნების მატარებელია და ყველა ის მცდელობა, რომელიც მიმართული იქნება სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმების ერთ ჩარჩოებში მოქცევისკენ და ერთიანი დეტალური სამართლებრივი კანონების ჩამოყალიბებისგან შედეგად სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს გახდის სურაგაციასთან მიმართებით უფრო მეტად ბუნდოვანს და არ ექნება დადებითი შედეგი.¹⁸

როდესაც სუროგაციასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური მსჯელობა, ლიტერატურაში ნახსენებია ის ფაქტორები, რომლებიც აღნიშნულ პროცესებში საკმაოდ აქტიურად განიხილება, რადგან ხდება ელექტორატის ინტერესების გათვალისწინება, რაც თავისმხრივ ემყარება სოციალურ და სხვადასხვა ეკონომიკურ ფაქტორებს. სხვადასხვა სამართლებრივი რეგულაციების რატიფიკაციისა თუ ახალი ნორმატიული აქტების მიღების პროცესში ევროკავშირში მიიჩნევა, რომ მათში შემავალი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოები აფასებენ ინდივიდუალურად ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა ფაქტორებს და მხოლოდ აღნიშნულის შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს. არსებულის შესაბამისად კი შეიძლება ითქვას, რომ

¹⁷ *Trimblings E.G., Beaumont K and P.*, International Surrogacy Arrangements: An Urgent Need for Legal regulation at the International Level, 7 *Journal of Private International Law* 627-647.

¹⁸ *Brunet L./ King D./ Carruthers J./ Marzo C./ Davaki K./ Mccandless J.*, Comparative study on the regime of surrogacy in the EU member states, The London School of Economics and Political Science, LSE Research Online, European Parliament, 2013, 22.

ლოგიკურია სხვადასხვა ქვეყანაში კულტურული თუ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მიდგომები იქნას ჩამოყალიბებული, აგრეთვე ეთიკურობის ელემენტზე გავლენას ახდენს რელიგიური ფაქტორიც, რაც საბოლოო ჯამში შესაძლებლობას აძლევს ქვეყნებს ობიექტურად გააჩნდეთ ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული მიდგომები სუროგაციის რეგულირების თვალსაზრისით.

პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა ინსტიტუციები, სამედიცინო სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა გაერთიანებები, რელიგიური ჯგუფები, სოციალური მიმდევრობები, კერძო და საჯარო ინტერსები, ეს არის იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი ინტერსებიც კი შეიძლება გარკვეულ გავლენას ახდენდნენ ისეთი ინსტიტუტის მიმართ არსებული რეგულაციების მიღების პროცესში, როგორცაა სუროგაცია.

რეგულაციების შემუშავების სირთულე ნაკლებად იჩენს თავს იმ ზოგადი მიდგომების ჩამოსაყალიბებლად, მაგალითად, როგორცაა სახელმწიფო პოლიტიკა სუროგაციის ლეგალურობის თუ არალეგალურობის მიმართ, პრობლემატური და კომპლექსური ხასიათის გამოვლენა ხორციელდება იმ პროცესში, როდესაც სუროგაციასთან დაკავშირებული სხვა, მეტად მცირე დეტალების განსაზღვრის აუცილებლობის წინაშე დგება სახელმწიფო. გამომდინარე ზემოხსენებული მაგალითებისა, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ გარდა შიდასახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებისა, საგულისხმოა ქვეყნის მიერ განსაზღვრული იქნას ამავდროულად სხვა ქვეყანაში არსებული მიდგომები, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნებში, რომლის მიმართ სახელმწიფოს გააჩნია კონკრეტული ეკონომიკური თუ პოლიტიკური ურთიერთობები სტრატეგიული თუ გეოგრაფიული ელემენტების გათვალისწინებით. იქნება ეს განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფო საჭიროა მაქსიმალურად განხორციელდეს ანალიტიკური კვლევა

და ანალიზი იმ ფაქტორებისა, რომელიც სუროგაციის მარეგულირებელი ნორმების ინტეგრაციის თანმდევად წარმოადგება და იქონიებს გავლენას როგორც ქვეყნის პოლიტიკურ, ამავედროულად ეკონომიკურ-სოციალურ ასპექტებზე.

ბევრ ქვეყანაში რელიგიური თვალსაზრისით მიჩნეულია, რომ სუროგაცია უნდა იყოს არალეგალური, რადგანაც ბავშვის ჩასახვასთან და დაბადებასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება მატერიალური ხასიათის მატარებელი იყოს და ის არაეთიკურია. მეორე მხრივ ლიბერალური მიდგომა ითვალისწინებს იმ მშობლების მდგომარეობას, რომლებსაც არ შეუძლიათ ბიოლოგიურ მიზეზთა გამო გააჩინონ ბავშვი და ეს წარმოადგენს აღნიშნულის ერთადერთ საშუალებას. შესაბამისად, რატომ უნდა იყოს პირი არსებულ უფლებას მოკლებული, როდესაც ეს გზა მისი გენეტიკური შვილის გაჩენის ერთადერთ მეთოდს წარმოადგენს.

7. საზღვარგარეთ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა

7.1 Baby M და Cotton Baby სასამართლო პროცესი

მას შემდეგ, რაც სუროგაციის პირველი რამდენიმე შემთხვევა წარმატებით განხორციელდა, საკანონმდებლო ორგანოები აღმოჩნდნენ ვალდებულების წინაშე განეხილათ საქმეები, რომლებიც უკავშირდებოდა სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვებს და პოტენციურ მშობლებს.

არსებულ ფაქტებთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 2 სასამართლო პროცესი, რომელთაგან ერთ-ერთი - Cotton Baby-ს შემთხვევა განხილული იქნა დიდ ბრიტანეთში,¹⁹ ხოლო Baby M ამერიკის შეერთებულ შტატებში.²⁰

გამომდინარე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საკითხი წარმოადგენდა სიახლეს მედიცინის დარგში, ბუნებრივია, მასთან მიმართებით არ არსებობდა არანაირი სამართლებრივი შეფასება და მან გამოიწვია ერთგვარი ტალღა, რომელშიც ჩაერთვნენ როგორც სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები მათ შემადგენლობაში არსებული ორგანოების მეშვეობით, აგრეთვე სხვადასხვა პრაქტიკოსი იურისტები, თეორეტიკოსები და თავად მედიცინის დარგის სპეციალისტები. აღნიშნულის შედეგად ჩამოყალიბებული იქნა არაერთი მოსაზრება, განსაზღვრული იქნა საორიენტაციო მიმართულებები, თუ რა ფორმატით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხები და ამავდროულად შეფასებას მიეცა უმთავრესი საკითხი - ზოგადად ყოფილიყო თუ არა დაშვებული სუროგაცია.

1985 წელს დიდ ბრიტანეთში Baby Cotton-თან დაკავშირებით განვითარებული არაერთი მოსაზრების შესაბამისად შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე

¹⁹ *Cotton K./ Windd D.*, Baby Cotton: for love and money, London, 1985.

²⁰ *Allen A. L.*, Privacy Surrogacy and the Baby M case, *Georgetown Law Journal* 76 (5), 1988, 1759-1792.

მნიშვნელოვანი პოზიცია, რომელთა გათვალისწინებაც მისაღები იქნება ისეთი სამართლის ქვეყნებისთვის, სადაც საბოლოო პოზიცია ჩამოყალიბებული არ არის სურგოაციასთან მიმართებით და კანონმდებელი ძიებისა და კვლევის პროცესში იმყოფება.

დიდი ბრიტანეთის მიერ გამოხატული პოზიცია, რომ სურგაცია, რომელიც თავის თავში კომერციული მიზნის გარდაუვალი მატარებელია, თავისი არსით ნაჩქარევად იქნა აკრძალული და არსებული მიდგომების ჩამოყალიბება უნდა დაეკვემდებაროს გადახედვას და ხელახალ განხილვას.²¹

Cotton Baby იყო პირველი ბავშვი, რომელიც სურგაციის გზით დაიბადა დიდ ბრიტანეთში 1985 წლის 4 იანვარს. ბავშვის დაბადებამ გამოიწვია მთავრობის ხისტი პოზიცია, რაც საბოლოო ჯამში დასრულდა იმ შედეგით, რომ სურგაციის გზით ბავშვის დაბადება აკრძალა და ის სისხლისსამართლებრივ დანაშაულად იქნა მიჩნეული.

ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, საქმეში ჩართული იქნა არაერთი ინსტიტუცია, რომელთა შორის საგულისხმოა ადგილობრივი სოციალური სერვისების დეპარტამენტის პოზიცია, რომელიც მიზნად ისახავდა დაეჭირა იმგვარი პოზიცია, რომ ბავშვისა და მშობლების ინტერესებს არ შეჰქმნოდათ საფრთხე.

სასამართლო პროცესი 11 იანვარს გაიმართა და გამოცდილმა მოსამართლე ლეიტიმ, რომელიც საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით იმ პერიოდში გამოცდილად მიიჩნეოდა, ბავშვზე სამართლებრივი უფლებები მიანიჭა იმ მამაკაცს, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა იმ ვიტრო განაყოფიერება და მის მეუღლეს. მოსამართლის პოზიცია საკამოდ მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მისი თქმით გამოტანილი გადაწყვეტილება მაქსიმალურად იქნა მიმართული

²¹ *Brahams D.*, The Hasty British Ban on Commercial Surrogacy, The Hastings Center Report, Vol. 17, No. 1, Feb., 1987, 16-19.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად და მან აგრეთვე ყურადღება გაამახვილა საკითხის მიმართ არსებულ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესზე და იმ სამომავლო რისკებზე, რომლებიც შეიძლებოდა ბავშვის მიმართ გაჩენილიყო. ამის შესაბამისად, მან მიმართა პრესას და ადგილობრივ მთავრობას, რომ მაქსიმალურად დაეცვათ კონფიდენციალურობა, შეენარჩუნებინათ ეთიკური ნორმები და ეფიქრათ კოტონის სამომავლო ცხოვრებაზე, რადგანაც მისი მდგომარეობა სტანდარტულისგან განსხვავებული იყო. არსებული გადაწყვეტილებით და მითითებებით მოსამართლემ, გარდა წმინდასამართლებრივი შეფასებისა ყურადღება გაამახვილა ბავშვის ფსიქოსოციალურ მდგომარეობაზეც და იზრუნა მასზედ, რომ ის არ ყოფილიყო ჩაგვრისა და ზედმეტი, არასაჭირო ყურადღების ობიექტი, რომელსაც შეეძლო პოტენციურად ფსიქოლოგიური ზიანი მიყენებინა.

ამავდროულად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არსებული სასამართლო პროცესის დროს, მოსამართლე მოქმედებდა საკუთარი გამოცდილების და გონივრულობის ფარგლებში, რამეთუ დიდ ბრიტანეთში არ არსებობდა კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც არსებულ სიტუაციას დაარეგულირებდა და წინასწარ დაადგენდა იმ საორიენტაციო ფარგლებს, რომლის შესაბამისადაც მოსამართლეს უნდა განეხილა საქმე და გამოეტანა გადაწყვეტილება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განსაზღვრისათვის.

არსებული საქმის განხილვის პროცესში ამავდროულად საგულსიხმოა ის აქტი, რომელიც არსებული სასამართლო პროცესის თანმდევად იქნა მიღებული ვარნოკის კომიტეტის (Warnock Committee) რეკომენდაციების შესაბამისად.²²

²² *Brahams D.*, The Hasty British Ban on Commercial Surrogacy, The Hastings Center Report, Vol. 17, No. 1, Feb., 1987, 17.

1985 წლის 16 ივლისს, დიდი ბრიტანეთის მიერ მიღებული იქნა აქტი, რომელიც გარკვეულწილად არეგულირებდა სუროგაციასთან და მის შესაბამისად წარმოშობილ მოქმედებებთან დაკავშირებით ურთიერთობებს.

არსებული აქტის მიხედვით, განსაზღვრული იქნა ზოგადი დახასიათება თუ რას გულისხმობს თავის თავში სუროგაცია, აგრეთვე განსაზღვრული იქნა სუროგაციის პროცედურის მიზანი და მასში მონაწილე სუბიექტების როლი და მიზნები. აქტის შესაბამისად, პირველ რიგში აკრძალული იქნა, სუროგაციაში მონაწილეობა ან პროცესის ინიცირება ან კონკრეტული მოლაპარაკებების წარმოება, რომელიც სუროგაციის პროცესის წარმართვას უკავშირდებოდა.

ამავე აქტით ასევე აკრძალული იქნა სუროგაციის შეთავაზება, დათანხმება ან სუროგაციის პროცესში რაიმე ფორმით მონაწილეობა და მოლაპარაკებების წარმოება. ამავდროულად, აკრძალა იმ ინფორმაციის ნებისმიერი გზით მოპოვება/შეგროვება, რომელიც ხელს შეუწყობდა სუროგაციის ჩატარებას ან წარმართვას.²³

გარდა ზოგადი აკრძალვის წესის გათვალისწინებისა, საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ აღნიშნული აქტი განამრტების ეტეპზეც და ნორმატიული განსაზღვრების საფუძვლადაც ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ ფაქტორზე, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სუროგაციის პროცესის წარმართვაში. არსებული ფაქტორი არამხოლოდ აღნიშნული აქტის მიზნებისთვის იქნა არგუმენტის სახით გამოყენებული, არამედ ზოგადად სხვადასხვა ლიტერატურაშიც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც სუროგაციის ნეგატიურ ერთ-ერთ თანმდევ გარემოებას. ფინანსური ელენტის გარეშე სუროგაციის განხორციელებასთან დაკავშირებით, შესაძლოა მრავალი სხვა პრობლემა წარმოშობილიყო თუმცა, ლიტერატურაში სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით ვხვდებით ფრაზებს, რომლებიც პირდაპირ

²³ Surrogacy Arrangement Act 1985, chapter 49.

კავშირშია სოციალურ მორალურ ფაქტორებთან, და რომლის გათვალისწინება არამხოლოდ, დიდი ბრიტანეთის, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის მიერაც ხორციელდება.

ლიტერატურაში ხშირად ასეთ ნეგატიურ სახელწოდებად ვხვდებით ფრაზა გაქირავებას,²⁴ ან საშვილოსნო ქირით,²⁵ რომელიც ქალის სხეულის მიმართებით გამოიყენება და რომელიც სწორედ იმ უარყოფით მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, რაც სუროგაციას ახლავს თან.²⁶

არსებულ აქტთან დაკავშირებით, სიუზან სლომანს აქვს გაკეთებული მნიშვნელოვანი განმარტება,²⁷ რომლის თანახმად დიდი ბრიტანეთის მიერ მიღებული აქტის გამოყენებადობა ინდივიდუარურად არ განიხილება და დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე 1958 წლის აქტს სახელწოდებით - Adoption Act of 1958²⁸.

აღნიშნული აქტით გათვალისწინებულია ისეთი ურთიერთობა, როდესაც მშობლები ახორციელებენ შვილად აყვანის პროცედურას, და რომლის წესების გამოყენება ხორციელდებოდა აგრეთვე სუროგაციის შემთხვევებშიც გარკვეულ მიზეზთა გამო, და სწორედ ამ აქტში ნახსენები ისეთი ელემენტები, რომლებიც ფინანსურ მოტივს ატარებდა მიიჩნეოდა ავტომატურად კანონდარღვევად.

1985 წლის აქტი ასევე კრძალავს სუროგაციის რეკლამირებას და ნებისმიერი ფორმით მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც მაშინდელი რეგულაციის ითვალისწინებდა ჯარიმას 2000 £ ოდენობით.²⁹

²⁴ *Leibowitz-dori I.*, Womb for Rent: The Future of International Trade in Surrogacy, Minnesota Journal of Global Trade 6, No. 1, 1997, 329-354.

²⁵ *Ber R.*, Ethical Issues in Gestational Surrogacy, Theoretical Medicine and Bioethics 21, 2000 Kluwer Academic Publishers, 2000, 153.

²⁶ *Mina Ch.*, Womb for Rent: India's Commercial Surrogacy, Harvard International Review, Cambridge Vol. 31, Iss. 1, 2009, 11-12.

²⁷ *Sloman S.*, Surrogacy Arrangements act, New law Journal, 1985, 1-4.

²⁸ *Stone O. M.*, The Adoption Act 1958, The Modern Law Review, Vol 22., No.5, 1959, 500-510.

²⁹ Surrogacy Arrangement Act 1985, chapter 49, 3.

არსებული პერიოდიდან მოყოლებული აღნიშნულ აქტში ცვლილებები პერიოდულად ისახებოდა და განხილვაც საყურადღებოდ იმიტომ იქნა მიჩნეული, რომ არსებული აქტის მიღება განპირობებული იყო იმ ერთ-ერთი პირველი სასამართლო შემთხვევით, რომელიც სუროგაციას მოჰყვა შედეგად. აღნიშნულ აქტს მოგვიანებით დაემატა მომწესრიგებელი ნორმატიული მეორე აქტი სახელწოდებით Human Fertilisation and Embryology Act (HFE Act), რომელიც 2008 წელს იქნა მიღებული.³⁰

დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობისა და სოციალური მზრუნველობის დეპარტამენტმა გამოსცა სუროგაციის გზამკვლევი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ ძირითად საკითხს, რომელიც დაინტერესებული პირებისთვის შესაძლოა იყოს საინტერესო.³¹

დიდ ბრიტანეთში სუროგაცია არის ლეგალური დღევანდელი მოცემულობით, თუმცა მოლაპარაკებები ან შეთანხმებები სუროგაციის შესახებ არ ექვემდებარებიან კანონით აღსრულებას და არ ატარებს სამართლებრივ ძალას.³²

დღევანდელი მოცემულობით, აგრეთვე შენარჩუნებულია მიდგომა, რომელიც გულისხმობს სუროგაციის რეკლამირების აკრძალვას და მასში მონაწილეობას. კანონით ერთმანეთისგან გამოყოფილია სხვადასხვა ტიპის სუროგაცია და თითოეულის მიმართ განსაზღვრულია შესაბამისი დეტალები.

იმ მომენტამდე სანამ სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვს სასამართლო არ განუსაზღვრავს სტატუსს, პირი რომელმაც გააჩინა ბავშვი მიიჩნევა მის კანონიერ მშობლად.

³⁰ *Horsey K.*, Surrogacy in the UK: Further evidence for reform – Second Report of the Surrogacy UK Working Group on Surrogacy Law Reform, Technical Report, 2018, 10.

³¹ *Department of Health & Social Care*, The Surrogacy Pathway, Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, 2019, 7.

³² იხ. იგივე.

ასევე, დიდ ბრიტანეთში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა დაკმაყოფილებული იქნას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმები, როგორცაა მაგალითად მინიმალური ასაკი 18 წელი, მხარეებს მოპოვებული აქვთ შესაბამისი თანხმობა და პირები არიან შესაბამისი სტატუსის მატარებლები.

პოტენციურმა მშობლებმა უნდა მიმართონ სასამართლოს ბრძანების მისაღებად და აღნიშნული პროცედურები უნდა განხორციელდეს ბავშვის დაბადების შემდგომ ეტაპზე.³³

მოგვიანებით მოდიფიცირებული აქტი სახელწოდებით Human Fertilisation and Embryology Act 1990 იმ რეკომენდაციებისა და განხილვის შედეგად ჩამოყალიბდა, რომელიც კოტონის ბავშვის დაბადებას მოჰყვამს, აგრეთვე მხედველობაში მიღებული იქნა 1985 წლის აქტი. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საკმაოდ საყურადღებოა ის მიზანი, რომელსაც აღნიშნული აქტი ატარებდა არ უკავშირდებოდა კონკრეტული აკრძალვების თუ ნებართვების ჩამოყალიბებას, პირიქით, ის უკვე მეტად კონკრეტული დეტალების კონსტანტაციას ასახავდა.

დღეს უკვე უმეტესობა ამ ამოცანებისა მიღწეულია და შენარჩუნებულიცაა პირველადი სახე იმ ნორმატიული ფორულირებისა, რომელიც პირველად იქნა ჩამოყალიბებული.³⁴

მეორე მნიშვნელოვანი სასამართლო პრაქტიკა დაკავშირებულია ამერიკაში მომხდარ პირველ სასამართლო დავასთან, რომელშიც მოსამართლეს მოუწია მსჯელობა Baby M-ის შესახებ, ბავშვის, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სუროგაციის გზით დაბადებული პირველი ადამიანი იყო.³⁵

³³ *Department of Health & Social Care, The Surrogacy Pathway, Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, 2019, 7.*

³⁴ იხ. იქვე.

³⁵ *Allen L. A., Privacy, Surrogacy, and the Baby M case, Georgetown law Journal 76, 5, 1760.*

აღნიშნულმა საქმემ მსგავსად დიდი ბრიტანეთისა გამოიწვია მწვავე და აქტიური განხილვა, რომელშიც ჩაერთვნენ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, კანონმდებლები, ადვოკატები, მოსამართლეები. მათი განხილვის საკითხი სუროგაციის ეთიკურ, მორალურ და სამართლებრივ პრობლემებს უკავშირდებოდა და ლიტერატურაში ვხვდებით მსჯელობას იმ ღირებულებებთან მიმართებით, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად საყურადღებოდ უნდა იქნას მიჩნეული სუროგაციის სოციალური მიზნებიდან გამომდინარე. ანალიტიკური მსჯელობა მჭიდრო კავშირში იყო თავად სუროგატ დედასთან და მის როლთან მიმართებით. ამ შემთხვევაშიც აქტიურად განიხილებოდა სუროგაციის ფინანსური ასპექტი და ის სარგებელი, რომელიც შეიძლება ამორალურად ყოფილიყო მიჩნეული.

საყურადღებოდ მიიჩნეოდა აგრეთვე მსჯელობა კონფიდენციალობაზე, დედის და შვილის უფლებებზე, კონსტიტუციურ უფლებების დამოკიდებულებაზე ახალ ინსტიტუტთან მიმართებით.

საკანონმდებლო რეგულაციების მიღებამდე მსჯელობაში აგრეთვე განხილული იყო იმგვარი მოცემულობა, თითქოს ცივი ომის შემდგომ პერიოდში მაქსიმალურად უნდა შემცირებულიყო ადამიანური ღირებულებების კომერციალიზაცია.

ადამიანის სიცოცხლესთან დაკავშირებული მატერიალური ფასეულობები საკმაოდ კრიტიკული და მწვავე განხილვის საგნად წარმოჩინდა სუროგაციასთან მიმართებით. მსჯელობა ამავედროულად ეხებოდა ბავშვის მორალურ მდგომარეობას და იმ ექსტრაორდინალურ განცდებს, რომლებიც სუროგაციის გზით დაბადებას შეიძლება პოტენციურად მოყოლოდა. სუროგაციის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები უკავშირდებოდა არგუმენტებს, რომლის თანახმად არსებული ინსტიტუტი წარმოადგენდა ბავშვებით ვაჭრობის თანამედროვე ვარიანტს, პიროვნული ღირებულებების

დეგრადაციას, მონობას, რასიზმს, ლიბერალური ღირებულებების პატერნალიზმისა და მორალური ღირებულებების მიმართ არატოლერანტობის გამოვლინებას.³⁶

მოსამართლე სორკოვის მიერ განვითარებული მოსაზრებები პოზიტიურად აფასებდა სუროგაციას და მას წარმოაჩენდა საშუალებას, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული ქალების ბიოლოგიური ანატომიური შესაძლებლობები.

მოსამართლე სორკოვის მსჯელობაში ratio decidendi ემყარებოდა მოსაზრებას, რომლის თანახმად მერი ბეთ ვაითჰედი და ვილიამ შტერნი წარმოადგენენ აღსრულებადი (ძალისმიერი) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, რომელთა მიერ გამოხატული ნება არ მოდიოდა მაშინდელი ნიუ-ჯერსის კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ნიუ ჯერსის უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსამართლე სორკოვის პოზიცია და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად კანონიერი წარმომადგენლისა და მშობლების უფლებამოსილება მიანიჭა ვაითჰედს და შტერნს. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ მეურვეობა ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა განისაზღვროს და არა რომელიმე იმ სხვა პირობის შესაბამისად, რომელსაც მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განსაზღვრავენ.

განსხვავებით დიდი ბრიტანეთისა ან სხვა სახელმწიფოებისა, ამერიკის შეერთებული შტატების ერთიანი პოზიციის განსაზღვრა მეტად კომპლექსურია საშტატო განაწილების გათვალისწინებით, თუმცა დღევანდელი მოცემულობით შესაძლებელია გამოიყოს ოთხი შტატი- ნიუ ჰემპშირი, ვირჯინია, ტეხასი და ილინოისი, რომლებმაც სუროგაციის გზით დაბადებულ

³⁶ იხ. იქვე.

ბავშვებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სამართლებრივი პრობლემების აცილების მიზნით მიიღეს გადაწყვეტილება ნებაყოფლობით ჩაეტარებინათ იმპლანტაციამდე სასამართლო პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავდა პოტენციური მშობლების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების აღსრულებადობა/არაღსრულებადობის საკითხს.³⁷

არსებული ქვეყნების პრაქტიკული და ლიტერატურული ნარატივის გათვალისწინებით, შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი განისაზღვროს.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ობიექტურობის ფარგლებში კომპეტენტური პირების მიერ წინარე ეტაპზე გამოყოფილა იქნა აქტუალური პრობლემატური საკითხები.

როგორც უკვე იქნა ნაშრომში არაერთხელ აღნიშნული სამართლებრივი რეგულირების ფორმულირებისთვის საჭიროა, მთელი რიგი საკითხების გათვალისწინება. სუროგაციის ნოვაციური და კომპლექსური ხასიათის გათვალისწინებით, ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორცაა დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ყურადღება გაამახვილეს გარდა წმინდასამართლებრივი საკითხებისა მორალურ და ეთიკურ დეტალებზე.

აღნიშნულ დეტალებზე ყურადღების გამახვილება გონივრული იქნება ქართულ რეალობაში დამატებითი რეგულაციების ფორმირების ეტაპზე, რაც ხელს შეუწყობს ისეთი ნორმების განმტკიცებას, რომელიც უზრუნველყოფს სუროგაციის პროცესში მონაწილე მხარეების ინტერესების დაცვას და ამავდროულად საკონსტიტუციო და სამოქალაქო-სამართლებრივი პრინციპების შენარჩუნებას.

³⁷ *Robertson J.*, Other Women's wombs: uterus transplants and gestational surrogacy, *Journal of Law and the Biosciences*, 2016 march, 83.

არსებული მიდგომების შეფასება და ქართულ რეალობაზე მორგება ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემების თავიდან აცილებას, რომლებიც გაუთვალისწინებელი, არასასურველი შედეგების მომტანი იქნებოდა პრაქტიკული შემთხვევებისთვის.

7.2. ინდოეთი, მანჯის პროცესი.

ინდოეთის მაგალითზე, შესაძლებელია განხილული იქნას ნაშრომის მიზნების გათვალისწინებით განსხვავებული დამოკიდებულება სუროგაციის მიმართ, რომელიც სხვა მანამდე განხილულ ვარიანტებთან შედარებით აბსოლუტურად განსხვავებულ ხედვას აყალიბებს აღნიშნული ინსტიტუტის მიმართ.

კონკრეტული მაგალითებისა და დამოკიდებულების განხილვამდე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ინდოეთის სახელმწიფომაც გამოიარა ის ეთიკური და მორალური საკითხების განხილვის ეტაპი, რომელიც ობიექტურად იქნა მიჩნეული სხვა ქვეყნებშიც.

ინდოეთი არ იყო იმ ქვეყნების სიაში, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს სუროგაციის აქტიური გამოყენება შესაბამისი მიზნის მიღწევის მიზნით, თუმცა ინდუსტრიალიზაციის ზრდასთან ერთად ინდოეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფერტილიზაციის ტურისტულ ქვეყნად, რომელსაც მრავალი მსურველი სწორედ სუროგაციის მიზნით სტუმრობს.

რთული წარმოსადგენი არ არის იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომლებიც არსებულ სიტუაციას, განაპირობებს. მაქსიმალურად ლოიალური ნორმატიული ჩარჩოები და გამარტივებული პროცედურები, რომლებიც სუროგაციის გამოყენებადობის ხელმისაწვდომობას მაქსიმალურად ზრდის.

სხვადასხვა კვლევის შესაბამისად გამოვლენილი იქნა, რომ ინდოეთში, სუროგატი დედა პროცესის განხორციელებისთვის საშუალოდ სარგებლის სახით იღებს 6 000\$, რაც სტანდარტული შემთხვევისა და ინდოეთში საშუალო ანაზღაურების შესაბამისად წარმოადგენს იმ ოდენობის თანხას, რომელსაც ოჯახი 9 წლის განმავლობაში გამოიმუშავებდა. ხოლო თავად კლინიკისთვის მიმართვის შემთხვევაში სუროგაციის გზით ბავშვის გაჩენის მსრუველს უწევს დაახლოებით 20 000\$ დოლარის გადახდა, როცა მაგალითისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში იგივე პროცედურის ინიცირება 80 000 – 100 000 დოლარის ფარგლებში მერყეობს.³⁸

ამავდროულად, გასათვალისწინებელია სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც ინდოეთში ჩამოყალიბდა, და საინტერესოა, სახელმწიფოს ხედვა არსებული საკითხის რეგულირებასთან მიმართებით.

მორალური ეთიკური და სოციალური საკითხების გათვალისწინებაზე უკვე იქნა აღნიშნული, რომ ინდოეთშიც მსგავსად მიუდგნენ განხილვას, თუმცა განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისა მათ გადაწყვეტილება მიიღეს ჩამოყალიბებინათ ისეთი მოცემულობა, რომელიც გაითვალისწინებდა ქვეყნის მოსახლეობის მდგომარეობას და იმ ეკონომიკურ სიღუბჭირეს, რომელიც ქვეყანაში უკვე სუფევდა. ანაზღაურებადობის თვალსაზრისით სუროგაციის გზით მიღებული შემოსავალი ერთი მხრივ სარგებლის მომტანი აღმოჩნდებოდა თავად სუროგატი დედისთვის და მისი ოჯახისთვის, ხოლო მეორე მხრივ ამ ფორმატში ტურისტების მოზიდვა, ბუნებრივია, დადებითი შედეგის მატარებელი იქნებოდა აგრეთვე თავად სახელმწიფოსთვის, რადგან ტურიზმის ზრდა პირდაპირ დადებითად მოქმედებს ქვეყნის ბიუჯეტზე, იმ სახსრების გათვალისწინებით, რომელიც სტანდარტულ შემთხვევაში სხვა ქვეყნის მოქალაქეს მოგზაურობის პროცესში უწევს გაიღოს.

³⁸ *Gautam U./ Yadav A., The surrogacy (Regulation) Bill 2016: Pitfalls and challenges ahead, VIDHIGYA the Journal of Legal Awareness , January 2016, 11.*

ინდოეთში არსებული რეგულაციების ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მანჯის, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ქეისმა.³⁹

მანჯის დაბადებისათვის წყვილმა იაპონიიდან იმოგზაურა ინდოეთში და კერძო კლინიკას მიმართა, რათა მოეძიებინათ სუროგატი დედა. მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელმაც მოგვიანებით იქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ პრობლემების წამოჭრის თვალსაზრისით, რომელთა გადაჭრაზე საკმაოდ მწვავე დისკუსია წარიმართა რამდენიმე ქვეყნის მიერ.

ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებული იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც მანჯი დაიბადებოდა და მისი მშობლები განქორწინდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ბავშვზე მეურვეობის უფლება ენიჭებოდა მის მამას.

მას შემდეგ, რაც ბავშვი დაიბადა ინდოეთში სუროგაციის გზით, მშობლებმა გადაწყვიტეს განქორწინება, თუმცა ბავშვის მამამ არ გამოიჩინა ინტერესი შვილის მიმართ. გამომდინარე აქედან, დედამისმა გადაწყვიტა ეკისრა პასუხისმგებლობა არსებულ სიტუაციაზე, და წამოეყვანა შვილი ინდოეთიდან იაპონიაში, რათა შესაბამისი პროცედურების განხორციელების შედეგად მისთვის მოქალაქეობა მიენიჭებინათ და როგორც იაპონიის მოქალაქეს გაეგრძელებინა ცხოვრება და შესაბამისი უფლებებით სარგებლობა.

არსებულ სიტუაციაშიც მანჯის დედა წააწყდა იმ ნორმათა კოლიზიას, რომელიც გამოწვეული იყო სუროგაციის რეგულაციის სიმწირით და რომლის მიხედვით იაპონია არ ცნობდა ბავშვის სამოქალაქო სამართლებრივ იმ სტატუსს, რომელსაც აღიარებდა ინდოეთი, შესაბამისად არსებული პროცესი გაჭიანურდა, დიდი ხნის მსჯელობამ გამოაშკარავა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ნორმატიული ჩარჩოების არ არსებობით იყო გამოწვეული და

³⁹ *Points K.*, Commercial Surrogacy and Fertility Tourism in India, The Case of Baby Manji, The Kenan Institute for Ethics of Duke University, 4.

შედეგად არსებულ მსჯელობათა ანალიზისა და სხვადასხვა პრიორიტეტების შეფასების საფუძველზე ინდოეთმა ჩამოაყალიბა სუროგაციის მომწესრიგებელი კანონი 2016 წელს.⁴⁰

არსებული აქტი გარკვეულწილად ითვალისწინებს სტანდარტულ პროცედურულ და ტექნიკურ შემთხვევებს, რომლის გარეშეც ობიექტურად გართულდებოდა არსებული სუროგაციის პროცესების წარმართვა, განსაკუთრებით კი იმ დონეზე, როდესაც მას ტურისტული ფერტილიზაციის ტიტული უნდა მიენიჭებინა ქვეყნისთვის.

ეთიკურ-მორალური პრობლემები ინდოეთის რეალობაში შესაძლოა ითქვას, რომ იყო ყოველთვის გათვალისწინებული, თუმცა სახელმწიფოს ინტერესი მეტად დაეყრდნო იმ ეკონომიკური სარგებლიანობის ასპექტს, რომლის საშუალებასაც სუროგაციის ნოვაციური ინსტიტუტი იძლევა.

აღნიშნული აქტი არ იყო ინდოეთში მანამდე სხვადასხვა ურთიერთობის განმსაზღვრელი აქტი, რადგან სხვადასხვა სიტუაციასთან მიმართებით ხორციელდებოდა ისეთი აქტების გათვალისწინება, როგორცაა მაგალითად შვილად აყვანის მომწესრიგებელი აქტები და სხვა.

ინდოეთმა აგრეთვე გაამახვილა ყურადღება იმ ხელშეკრულებების აღსრულებადობის საკითხზე, რომელიც სუროგაციის პროცესის წინარე ეტაპზე ფორმდება მხარეთა შორის.

არსებულთან მიმართებით მათ ყურადღება გაამახვილეს მხარეთა ინფორმირების მნიშვნელობაზე და იმ ინფორმაციის სწორად მიწოდებაზე, რომელსაც შემდგომ მომენტში შესაძლოა გადამწყვეტ როლს თამაშობდეს. გამომდინარე აქედან მიჩნეული იქნა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა, რომელშიც ერთი მხრივ მოსალოდნელი მშობლები დგანან, მეორე მხრივ

⁴⁰ The Surrogacy (Regulation) Bill, 2019, Bill No. 156 -C of 2019.

სუროგატი დედა, ხოლო მესამე მხრივ თავად კლინიკა უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე.⁴¹

განვითარებული მსჯელობის შესაბამისად შესაძლებელია ითქვას, რომ ამ ფორმით ისინი უზრუნველყოფენ მხარეთა ინტერესების დაცვას და მათი ლეგიტიმური უფლებების დაცვას. ამ შემთხვევაშიც საყურადღებოა პირთა ფსიქოლოგიური და მორალური მდგომარეობა.

ინდოეთის შემთხვევა საყურადღებოა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ განსხვავებით სხვა ზემოთმოყვანილი სახელმწიფოების მაგალითებისა, ის მეტად არის ორიენტირებული სუროგაციის მეშვეობით დადებითი ფინანსური სარგებლის მიღებაზე, ვიდრე შინაარსის არაეთიკურ ან ამორალურ გაგებაზე.

აღნიშნულის შეფასება, რთულია იმის გათვალისწინებით, რამეთუ ორივე პოზიციის დამასაბუთებელი არგუმენტის მოყვანაა შესაძლებელი და საბოლოო ეტაპზე კი უპირველესად მაინც საყურადღებოდ უნდა იქნას მიჩნეული, როგორც მონაწილე პირთა ფსიქო-სოციალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, აგრეთვე იმ სხვა სამართლებრივი პრინციპების პატივისცემა, რომლებიც სუროგაციისგან დამოუკიდებლად იცავდნენ მოქალაქეთა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებს.

⁴¹ *Timms O.*, Report of the Parliamentary Standing Committee on the Surrogacy (Regulation) Bill, 2016: A commentary, Indian Journal of Medical Ethics Vol III No 2, 2018, 104.

8. სუროგაციის შესაბამისად წარმოქმნილი მორალური და ეთიკური პრობლემები

სუროგაციის შესაბამისად წარმოქმნილი ეთიკური პრობლემები, რომ ფართო განხილვის საგნად იქცა ნაშრომში არაერთხელ იქნა აღნიშნული. შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემები აბსოლუტურად ლოგიკური და ობიექტურია, რადგანაც, ის უკავშირდება მასში მონაწილე პირების კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს და ამავდროულად იმ საკითხებს, რომლებსაც აქვს გავლენა სოციალურ და რელიგიურ ფაქტორებზე.

ერთ-ერთ განსახილველ საკითხს ეთიკურობის ჭრილში წარმოადგენს სუროგატი დედის მოლოდინები და მისი ზრახვები არსებული მოქმედების განხორციელების მომენტში. გესტაციურ სუროგაციაზე მისი გაცნობიერებული თანხმობა არის თუ არა ალტრუისტულ ემოციური ნარატივის მატარებელი. თუ ის ემყარება გარკვეული ფინანსური სარგებელის მიღების მოლოდინს, რაც შეიძლება კრიტიკის საბაზიც გახდეს.

მოლოდინებთან და ფსიქოსოციალური ასპექტების გავლენასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ყურადღება იქნა გამხვილებული ისრაელის მიერ 1996 წელს მიღებულ კანონში გესტაციური სუროგაციის შესახებ.⁴²⁴³

სხვადასხვა სწავლებამ აჩვენა, რომ სუროგატი დედების ფსიქოლოგიური მდგომარეობა საკმაოდ დიდ როლს თამაშობს იმ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელზეც ის თანხმდება, და რომელიც პოტენციურად კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მატარებელი უნდა იყოს კონკრეტული პერიოდის შემდეგ. ბავშვის მიმართ სუროგატი დედის მდგომარეობა დროთა

⁴² *Weisberg Kelly D.*, The Birth of Surrogacy in Israel, *Journal of middle east women's studies*, University Press of Florida, 2005, 304.

⁴³ *Lipkin N./ Samama E.*, Surrogacy in Israel, Status Report 2010 and Proposals for Legislative Amendment, 2010, 12.

განმავლობაში შესაძლებელია შეიცვალოს და შეიძლება აგრეთვე შეიცვალოს მის დამოკიდებულება და მიზნებიც, რომლებიც შესაძლოა განსხვავებული იყოს იმ საწყისი ეტაპისგან, რომელიც მხარეთა მიერ იქნა განსაზღვრული ურთიერთობის დაწყების პროცესში. ისრაელის სახელმწიფომ სუროგაციის სხვადასხვა ეტაპთან მიმართებით გაითვალისწინა სუროგატი დედის მდგომარეობა და მიიჩნია გონივრულად, რომ აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინება სამართლებრივ დონეზე უნდა განხორციელებულიყო, რათა დაცული ყოფილიყო სამოქალაქო უფლებები და არსებული სიტუაცია არ გამხდარიყო საფუძველი იმ ნეგატიური შედეგებისა, რომელიც წინარე ეტაპზე ფიზიკურად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ობიექტურ მიზეზთა გამო.

ემოციური კავშირის ჩამოყალიბება ერთ-ერთი ასეთი ასპექტია და კანონის შესაბამისად ჩამოყალიბდა იმის შესაძლებლობა სუროგატი დედის მიერ, რომ ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე განაცხადოს უარი აღნიშნული პროცესის გაგრძელების და ცალმხრივი უარი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.⁴⁴

გარდა ფსიქოლოგიური ფაქტორისა, ისრაელმა განსაზღვრა აგრეთვე სხვადასხვა დეტალები, რომლებიც შეიძლება სხვა ქვეყნის შიდასამართლებრივ აქტებში ხშირად არ გვხვდებოდეს. მაგალითისთვის არის დადგენილი კონკრეტული მინიმალური მოცულობის თანხა, რომელიც შეიძლება სუროგატი დედისთვის იქნას შეთავაზებული, ამავდროულად გათვალისწინება ხდება იმ ფაქტის, თუ რამდენი შვილი გააჩინა ამა თუ იმ ქალბატონმა მანამდე, სანამ მან მიიღო გადაწყვეტილება მიიღოს მონაწილეობა სუროგაციის პროცესში.⁴⁵

⁴⁴ *Ber R.*, Ethical Issues in Gestational Surrogacy, Theoretical Medicine and Bioethics 21, Kluwer Academic Publishers, 2000, 158.

⁴⁵ *Silver L. M.*, New Reproductive Technologies in the Treatment of Human Infertility and Genetic Disease, Theoretical Medicine 1990, 11, 103-110.

მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას არსებული მიდგომებიც, რომლებიც ჩამოყალიბებული იქნა ისრაელის რეალობაში.

საყურადღებოა ის გარემოებები, რომ კანონმდებელმა შესაბამისი რეგულაციების მიღებამდე მნიშვნელოვანი ყურადღება და წინასწარი კვლევა მიუძღვნა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც გარდა სამართლებრივი ასპექტებისა მოიცავს ფსიქოლოგიურ და სოციალურ გარემოებებს.

იმ შემთხვევაში თუ საქართველოში არსებული რეგულაციების გადახედვა იქნება გათვალისწინებული, მისაღები იქნება შესწავლილი იქნას, სწორედ ზემოთხსენებული კომპონენტების შესაბამისი ასპექტები.

როგორც სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებით, ამავდროულად ამ ინსტიტუტთან მიმართებითაც აუცილებელია მსგავსი ელემენტები იქნას გათვალისწინებული. მაგრამ განსხვავებით ისრაელისა ან სხვა სახელმწიფოს რეგულაციებისა, გათვალისწინებული უნდა იქნას უშუალოდ ქართული რეალობა, და ის სხვადასხვა მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც გამოყოფს და განასხვავებს საქართველოში მყოფ მოსახლეობას სხვა ქვეყნების მოსახლეობისგან. არსებული ელემენტების შეფასება და სწორი კონტურების გამოყოფა ბუნებრივია, საკმაოდ რთული პროცედურა იქნება და საჭიროა შესაბამისი კვლევები ჩატარდეს მაღალ დონეზე და საკმაოდ შინაარსობრივად, რათა თავიდან იქნას არიდებული ის გვერდითი უარყოფითი შედეგები, რომლებმაც შეიძლება პირიქით უკან დახიოს არსებული მოცემულობა.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისეთ განვითარებულ სახელმწიფოშიც კი, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კვლავ უკვე მე-3 ათწლეულია რაც დებატები გრძელდება საკითხის მიმართ, ქართველი კანონმდებლისთვის უნდა იყოს მაგალითი იმისა, რომ მაქსიმალური სიფრთხილე გამოიჩინოს სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმების მოდიფიკაციის პროცესში. აღნიშნული საკითხები კი გამომდინარეობს სწორედ იმ კომპლექსური

სამართლებრივი, ეკონომიკური ფაქტორებიდან, რომლებიც სუროგაციას ახლავს თან და რომელიც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ არსებული ინსტიტუტი წარმოადგენს ფერტილიზაციისა და განაყოფიერების არასტანდარტულ, ნოვაციურ და იმგვარ ფორმას, რომელიც მანამდე არც ერთ პერიოდში არ ყოფილა.⁴⁶

საკითხის სიღრმისეული კვლევა წარმოაჩენს სუროგაციის კიდევ უფრო მეტად კომპლექსურ ხასიათს, როდესაც მისი ფორმა წარმოჩინდება, როგორც ინტრა-საოჯახო ტიპის სუროგაციად. აღნიშნულ შემთხვევაში კიდევ მეტი სამართლებრივი პრობლემა წარმოჩინდება ბავშვების კეთილდღეობის გათვალისწინებით, თუ რა ფორმით, ვინ და რა მოცულობით უნდა მიიღოს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის აღზრდაში მონაწილეობა.⁴⁷

საქართველოში ამავდროულად საყურადღებოა ის რელიგიური ფონი, რომელიც მრავალი ქვეყნის მსგავსად მნიშვნელოვანი გავლენის მატარებელია, არამხოლოდ სამედიცინო, არამედ სხვა სექტორებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს დაფიქსირებული აქვს 2014 წლის საშობაო ეპისტოლეში მოსაზრება სუროგაციის გზით დაბადებასთან დაკავშირებით.⁴⁸

ეპისტოლე საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯის მატარებელია, რომელიც მკაცრად გამოხატავს ეკლესიისა და რელიგიის პოზიციას სუროგაციასთან მიმართებით. ბუნებრივია ამ მესიჯის შინაარსი მნიშვნელოვანი იქნება ყველა იმ ქალბატონისთვის რომელმაც უკვე გააჩინა სუროგაციის გზით ბავშვი, ასევე იმ

⁴⁶ *Douglas N.*, Surrogacy 2.0., Jotwell: The Journal of Things we Like, 2020, 2.

⁴⁷ *Horsey K./Sheldon S.*, Still Hazy After all these Years: The Law Regulating Surrogacy, Kent Law School, Medical Law Review, 20, Winter 2012, 69.

⁴⁸ საქართველოს-პატრიარქის ილია II საშობაო ეპისტოლე, 2014 წელი, იხ. ბმულზე: <<http://patriarchate.ge/geo/2014-2/>>

ქალბატონებისთვის, რომლებიც სამომავლოდ გეგმავენ მსგავსი გზით ბავშვის გაჩენას.

ეპისტოლე შესაძლებელია ითქვას მთლიანად რეპროდუქტოლოგიურ საშუალებებს ეხება, და მათი გამოყენება/არ გამოყენების საკითხს აფასებს.

არსებულ მოსაზრებას შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი რეაქცია მოჰყოლოდა. რადგანაც, მიუხედავად იმისა ადამიანი არის თუ არა მორწმუნე და იზიარებს თუ არა კონკრეტულ რელიგიურ ღირებულებებს, მაინც გარკვეულწილად პირდაპირად ან ირიბად აღნიშნული მასზე გავლენას ახდენს.

9. ევროკავშირის რეკომენდაციები სუროგაციასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის რეკომენდაციები უპირველესად მიმართულია მასში შემავალი ქვეყნების მიმართ, თუმცა საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება მათი გათვალისწინება არაწევრი ქვეყნებისთვისაც.

2013 წელს სპეციალურად ორგანიზებული სამუშაო ჯგუფი ყურადღებას რამდენიმე დეტალზე ამახვილებს. უპირველეს ყოვლისა მათი თქმით სუროგაციის მიმართ მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და ის უფრო და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად საჭიროა, რომ მეტი ყურადღებით მოეკიდნონ საკითხს და ყველა ის სამართლებრივი ჩარჩოები, რომლებიც განესაზღვრება ინსტუტს რეგულირების მიზნით, შერჩეული უნდა იყოს მაქსიმალური სიფრთხილით. ამ ჩარჩოების ჩამოყალიბებისთვის კი საჭიროა მაქსიმალური სიზუსტით იქნას სუროგაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება მათი შემდგომი ანალიზის მიზნით. ინფორმაციის მოძიების ეტაპი გულისხმობს ყველა იმ

დეტალს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება სუროგაციას, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ამ პროცესში დაწყებული კლინიკიდეებიდან დასრულებული სუროგატი დედით. ამავდროულად მათივე თქმით შენარჩუნებული უნდა იქნას სხვა პრინციპები და ღირებულებები, როგორც სუროგატი დედისა, აგრეთვე სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვისა.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით რეკომენდაციებში ხაზგასმულია იმ ტენდენციაზე, რომლის მიხედვით ქვეყნებში სადაც ანაზღაურების რაციო დაბალია აღნიშნება გაცილებით მაღალი მოთხოვნა სუროგატ დედობაზე.⁴⁹ ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოშველიებული იქნას ისრაელის კანონმდებლების გადაწყვეტილება, სადაც ისინი შესაბამის მიზეზთა გამო განსაზღვრავდნენ მინიმალური თანხის ოდენობას, რომელიც შეიძლება სუროგატ დედას დაეკისროს.

საბოლოო ეტაპზე აღნიშნული მონაცემები იმგვარად უნდა იქნას გამოყენებული, რომ მაქსიმალურად მოხდეს ამა და სხვა ვალდებულებების ურთიერთ ჰარმონიზაცია.

რელიგიის საკითხი სხვადასხვა სამედიცინო ინსტიტუტზე, ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალური შეფასების შესაბამისად, რადგანაც, სხვადასხვა სახელმწიფოში რელიგიის გავლენა განსხვავდება, და ამავდროულად განსხვავდება იმ პირთა დამოკიდებულება, რომელიც ითვალისწინებს ან არ ითვალისწინებს, კონკრეტული რელიგიური მიმართულების მოსაზრებებს.

ეთიკური პრობლემების განხილვა სამართლებრივი შეფასების პროცესში ვერ იქნება დამოუკიდებელი. მორალური და ზნეობრივი ელემენტების განსაზღვრება არ არის თავისი შინაარსით ზუსტი მოცემულობა,

⁴⁹ Brunet L./ King D./ Carruthers J./ Marzo C./ Davaki K./ McCandless J./ Comparative Study on the Regime of Surrogacy in the Eu member States, The London School of Economics and Political Science, LSE Research Online, European Parliament, 2012, 194.

შესაძლებელია ის დროთა განმავლობაში იცვლებოდეს, შეიძლება ამისი შეცვლის საფუძველიც კი განსხვავებულად ყალიბდებოდეს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

როდესაც კანონმდებელი განსახილველად მიზნად დაისახავს აღნიშნულ საკითხის განხილვას, ბუნებრივია ის ყურადღებას მიაქცევს ყველა იმ ასპექტს, რომელიც თუნდაც მცირე მნიშვნელობის მატარებელია. ამიტომაც მნიშვნელოვანია, კანონზომიერება იქნას დაცული და იმ ფორმით ჩამოყალიბებული, რომ ყველა ზემოთხსენებული ფაქტორი იქნას გათვალისწინებული.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი იქნა კომპლექსური, შეფასება სხვადასხვა ქვეყანის ლიტერატურულ სამეცნიერო ნაშრომებში წარმოდგენილი მოსაზრებებისა და აგრეთვე იმ მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც განვითარდა იმ პერიოდიდან მოყოლებული რაც სუროგაციის პროცედურების განხორციელება დაიწყო.

საკითხის მიმართ არსებული სოციალური, მორალური, ეთიკური და სამართლებრივი პრობლემები გამოწვეულია იმ კომპლექსური ბუნებისა და ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც სუროგაციის განუყოფელი ნაწილია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემატიკა შესაძლოა მიჩნეული იქნას ერთგვარ გამოწვევად, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება და საჭიროა ყველა არსებული მიმართულების ბოლოს კონკრეტული პასუხები და გამოსავლები იქნას შეთავაზებული შესაბამისი პირებისა და ორგანოების მიერ.

სუროგაციის მასშტაბურობა და პოპულარიზაცია მოიცავს ინდივიდუალური პირების სამართლებრივი უფლებაუნარიანობის განსაზღვრებიდან დაწყებული ყველა იმ სეგმენტს, რომელიც აღწევს შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ მოწესრიგებამდე.

გარდა იმ კომპლექსურობისა, რომელიც თავად სუროგაციის გამოხატულებით არის შესამჩნევი კანონმდებლისთვის, აუცილებელია აღინიშნოს ის სირთულეც, რომელიც ასახვას ჰპოვებს მონაწილე მხარეების ინტერესებზე. ერთია შემუშავებული იქნას იმგვარი მიდგომა, რომელიც პასუხს გასცემს სუროგაციის გონივრულ მოწესრიგებას, ხოლო მეორე როგორ განხორციელდეს აღნიშნული იმგვარად, რომ დაცული იქნას სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი და კონსტიტუციით გათვალისწინებული ღირებულებები და პრინციპები.

სხვადასხვა განვითარებული და განვითარებადი სახელმწიფო, დამოუკიდებლად თუ იმ ფაქტისა, თუ რომელი სამართლებრივი ოჯახის სისტემას განეკუთვნება გამოყოფენ იმ საერთო დეტალებს, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და რომელთა გვერდით ავლა პირდაპირი ზიანის მომტანი იქნება მასში მონაწილე პირთა უფლებებისთვის.

უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას განსაზღვრული ზოგადი პოლიტიკა სახელმწიფოს მიერ, ჩამოყალიბდეს ის მიმართულებები, რომლისკენაც მას სურს წარმართოს სუროგაცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე კანონმდებელმა უნდა წარადგინოს ისეთი მიდგომები, რომლებიც სწორად, გონივრულად და ლოგიკურად ასახავს ამ ყველაფერს საკანონმდებლო ენაზე.

ცალსახაა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ქართული კანონმდებლობა საკმაოდ მწირეა ამ საკითხთა რეგულირების თვალსაზრისით და მნიშვნელოვანია რომ დროულად და ეფექტურად განხორციელდეს არსებული პრობლემების გადაჭრდა.

ამ პოზიციას იზიარებს სასამართლო სისტემაც, რომელიც უკვე იქნა ნაშრომში განხილული, თუმცა რადგანაც საკითხი საკმაოდ მგრძნობიარე თემას ეხება მისაღები იქნება გათვალისწინებული იქნას ევროკავშირის მიერ შემუშავებული ის რეკომენდაციები, რომლებიც შემოთავაზებული იქნა ნაშრომში.

პირველ რიგში, გონივრული იქნება თუ საკანონმდებლო ცვლილებებს წინ გაუძღვება მნიშვნელოვანი და სიღრმისეული საკითხთა კვლევა, რათა მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით კანონმდებელმა მაქსიმალურად ეფექტური და გონივრული ჩარჩოები ჩამოაყალიბოს.

ამავდროულად კი აუცილებელია, რა თქმა უნდა, ისეთი დეტალების გათვალისწინება, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი მოცემულობის

დამახასიათებელია- სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, მორალური, ეთიკური და კულტური ასპექტები.

ამ გარემოებათა გათვალისწინების გარეშე შესაძლებელია ნაცვლად ეფექტური მომწესრიგებელი ნორმატიული რეგულირებისა, შედეგად მიღებული იქნას ნეგატიური ფონის ამსახველი მიდგომები, რომლებიც ზიანს მიაყენებს, როგორც მონაწილე მხარეების უფლებებს, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკურ ფაქტორებს, როგორც ფიზიკური აგრეთვე იურიდიული პირებისა.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.
4. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მე-8 მუხლი.
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18-ე ბრძანება.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე №2/1852-14.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება/განჩინება, საქმე №ას - 1162-2020

უცხოენოვანი ლიტერატურა

1. *Allen A. L.*, Privacy Surrogacy and the Baby M case, *Georgetown Law Journal* 76 (5), 1988.

2. *Ber R.*, Ethical Issues in Gestational Surrogacy, *Theoretical Medicine and Bioethics* 21, Kluwer Academic Publishers, 2000.

3. *Brahams D.*, The Hasty British Ban on Commercial Surrogacy, *The Hastings Center Report*, Vol. 17, No. 1, Feb., 1987.

4. *Brindsen R. P.*, Gestational Surrogacy, *Human Reproduction Update*, Vol. 9, No.5, European Society of Human Reproduction and Embryology, 2003.

5. *Brunet L./ King D./ Carruthers J./ Marzo C./ Davaki K./ Mccandless J.*, Comparative study on the regime of surrogacy in the EU member states, The London School of Economics and Political Science, LSE Research Online, European Parliament, 2013.

6. *Cotton K./ Windd D.*, Baby Cotton: for love and money, London, 1985.
7. *Department of Health & Social Care*, The Surrogacy Pathway, Surrogacy and the legal process for intended parents and surrogates in England and Wales, 2019.
8. *Douglas N.*, Surrogacy 2.0., Jotwell: The Journal of Things we Like, 2020.
9. European Court of Human Rights, The case of Evans v. The United Kingdom, 2007, Application no. 6339/05.
10. Family Code of Russia, articles 51-52.
11. Family Code of Ukraine, Article 123(2).
12. *Gautam U./ Yadav A.*, The surrogacy (Regulation) Bill 2016: Pitfalls and challenges ahead, VIDHIGYA the Journal of Legal Awareness , January 2016.
13. *Field M.*, Reproductive Technologies and Surrogacy: Legal Issues, Creighton Law Review 25, No. 5, 1992.
14. *Horsey K./ Sheldon S.*, Still Hazy After all these Years: The Law Regulating Surrogacy, Kent Law School, Medical Law Review, 20, Winter 2012.

15. *Human Fertilisation & Embryology Authority*, Trends and figures, 2011.

16. *Kanfel Frances R.*, Which Came First: The mother or the Egg? A Kinship Solution to Gestational Surrogacy, 1994.

17. *Leibowitz-dori I.*, Womb for Rent: The Future of International Trade in Surrogacy, *Minnesota Journal of Global Trade* 6, No. 1, 1997.

18. *Mina Ch.*, Womb for Rent: India's Commercial Surrogacy, *Harvard International Review*, Cambridge Vol. 31, Iss. 1, 2009.

19. *Lipkin N./ Samama E.*, Surrogacy in Israel, Status Report 2010 and Proposals for Legislative Amendment, 2010.

20. *Robertson J.*, Other Women's wombs: uterus transplants and gestational surrogacy, *Journal of Law and the Biosciences*, 2016 march.

21. *Silver L. M.*, New Reproductive Technologies in the Treatment of Human Infertility and Genetic Disease, *Theoretical Medicine* 1990, 11.

22. *Sloman S.*, Surrogacy Arrangements act, *New law Journal*, 1985.

23. *Stone O. M.*, The Adoption Act 1958, *The Modern Law Review*, Vol 22., No.5, 1959.

24. *Stefanick L. M., PhD*, Estrogens and progestins: background and history, trends in use, and guidelines and regimens approved by the US Food and Drug Administration, Stanford Prevention Research Center, Department of Medicine, Stanford University, Stanford, California, USA, *The American Journal of Medicine*, Vol 118 (12B), 2005.

25. Surrogacy Arrangement Act 1985, chapter 49.

26. The Surrogacy (Regulation) Bill, 2019, Bill No. 156 -C of 2019.

27. *Timms O.*, Report of the Parliamentary Standing Committee on the Surrogacy (Regulation) Bill, 2016: A commentary, *Indian Journal of Medical Ethics* Vol III No 2, 2018.

28. *Trimings E.G., Beaumont K and P.*, International Surrogacy Arrangements: An Urgent Need for Legal regulation at the International Level, 7 *Journal of Private International Law*.

29. *Twine France W.*, *Outsourcing the Womb, Race Class and Gestational Surrogacy in a Global market*, Second Edition, 2015, Taylor & Francis.

30. UK's Human Fertilisation and Embryology Act, s 33(3).

31. Points K., Commercial Surrogacy and Fertility Tourism in India, The Case of Baby Manji, The kenan Institute for Ethics of Duke University.

32. Weisberg Kelly D., The Birth of Surrogacy in Israel, Journal of middle east women's studies, University Press of Florida, 2005.